

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა

ხატია შაკაია

საქართველოში სოციალური სფეროების დაფინანსების
სტატისტიკური ანალიზი

ეკონომიკის მაგისტრის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ასისტენტ-პროფესორი ზამირა შონია

თბილისი, 2019

ანოტაცია

სოციალური უზრუნველყოფის ეფექტური სისტემა და აქედან გამომდინარე სოციალური ინტეგრაცია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ნებისმიერი განვითარების დონის მქონე ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის. სწორედ ამიტომ აქტუალურია ზუსტი ინფორმაციის მოპოვება იმაზე თუ როგორ და რა დოზით ხდება სოციალური სფეროების დაფინანსება, რა პრიორიტეტები აქვს სახელმწიფოს დაფინანსების მხრივ და როგორ ანაწილებს ის მის ხელთ არსებულ რესურსებს სოციალური სფეროების ხელშესაწყობად და განსავითარებლად.

ნაშრომის კვლევის ობიექტია სოციალური სფეროების, კერძოდ კი განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის დაფინანსებისკენ მიმართული სახსრები, როგორც ზოგადად ისე დაფინანსების მიმღები აგენტების და წყაროების მიხედვით, ხოლო კვლევის საგანი ამ ფინანსების სტრუქტურის და დინამიკის შესწავლა. მოცემული კვლევის მიზანია საქართველოში სოციალურის სფეროს დარგების (ჯანდაცვა, განათლება და სოციალური დაცვა), დონის, დინამიკის და სტრუქტურის დეტალური განხილვა და შედარება სხვა ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებთან. ამოცანებს შეადგენს : სოციალური სფეროების დაფინანსების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება დოკუმენტური ანგარიშების მეშვეობით და დაჯგუფება, სტატისტიკური მეთოდების შესწავლა და კვლევის პროცესში გამოყენება, დაფინანსების დონისა და დინამიკის ტენდენციების გამოვლენა. კვლევისთვის საჭირო ინფორმაცია მოპოვებულ იქნა სახელმწიფო სტატისტიკურ და ფინანსურ ორგანოებში წარდგენილი სტატისტიკური ანგარიშგებებიდან.

Statistical analysis of the financing of social spheres in Georgia

Annotation

An effective system of social security and therefore social integration is one of the most important factors for the economic and social development of the country with any level of development. That is why it is important to get accurate information on how and what level of financing social fields have and what trends are observed in this regard.

The subject of this study is the funding of social spending in general as well as in the functional context, and the target of the research is to study the structure and dynamics of these finances. The study aims to examine social fields such as health, education and social security, their levels, dynamics and structure in Georgia. The objectives are: acquisition and grouping statistical information on the financing of the social spheres, study of the statistical methods and their use in the research process, identifying dynamic trends of financing of the above mentioned fields. The information needed for the project was obtained from the statistical statements submitted to the state statistical and financial authorities.

შინაარსი

შესავალი.....	5
თავი I. სოციალური სფეროების დაფინანსების თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.....	7
1.1 საკანონმდებლო ბაზა.....	7
1.2 დაფინანსების წყაროები.....	14
თავი II. სოციალური სფეროების დაფინანსების დონის, დინამიკისა და სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზი.....	16
2.1 განათლების დაფინანსების დონის, დინამიკისა და სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზი.....	27
2.2. ჯანდაცვის დაფინანსების დონის, დინამიკისა და სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზი.....	43
2.3 სოციალური დაცვის დაფინანსების დონის, დინამიკისა და სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზი.....	58
თავი III. სოციალური სფეროების დაფინანსების შედარებითი ანალიზი ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან.....	68
3.1 განათლების დაფინანსების შედარებითი ანალიზი ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან..	68
3.2 ჯანდაცვის დაფინანსების შედარებითი ანალიზი ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან..	71
3.3 სოციალური დაცვის დაფინანსების შედარებითი ანალიზი ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან.....	73
გამოყენებული ლიტერატურა.....	77
დანართი.....	80

შესავალი

პრობლემის აქტუალურობა. ეფექტური სოციალური პოლიტიკის შემუშავება და ამ მიმართულებით ფინანსების რაციონალურად განაწილება ყველა ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში სიღარიბესთან შედეგიანი ბრძოლა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარება მიუღწეველი მიზანი ხდება. სწორედ სოციალური პოლიტიკის მზარდი მნიშვნელობიდან გამომდინარეობს ამ მიმართულებით ვრცელი და დეტალური სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების და გავრცელების საჭიროება და შესაბამისად კვლევის აქტუალურობაც. ცხადია, რომ ყველა ქვეყანა თანაბრად მაღალ პრიორიტეტს არ ანიჭებს სოციალურ სფეროს და არც მსგავსი სოციალური სისტემებით ხასიათდება. თუმცა, ყველა თანხმდება იმაზე, რომ ადამიანების კეთილდღეობაზე ზრუნვა და მათთვის ცხოვრების თანაბარი პირობების შექმნა სათანადო ყურადღებას მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან . ჩვენი კვლევის მიზანია დავადგინოთ, საქართველო სახელმწიფო ფინანსების რა წილს მიმართავს სოციალურ სფეროებზე და საერთოდ როგორია მისი სტრატეგია ამ სფეროში პოლიტიკის გატარებისას.

ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოში სოციალური სფეროების დაფინანსების დინამიკა და სტრუქტურა, როგორც მთლიანად ასევე განათლების, ჯანდაცვის და სოციალური დაცვის ჭრილში. ყურადღება გამახვილებულია სახელმწიფო დაფინანსების როლზე, როგორც ნაერთი ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით. მოცემულია შედარებითი ანალიზი ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან დინამიკაში.

შესაბამისად, მოცემული კვლევის მიზანია:

- სოციალური სფეროების დაფინანსების, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული მიმართულებით შესწავლა და გაანალიზება
- საქართველოში სოციალური სფეროს დაფინანსების დონის, დინამიკის და სტრუქტურის სიღრმისეული განხილვა
- სხვა ქვეყნებთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე საქართველოში სოციალური სფეროების დაფინანსების დონის შეფასება

აღნიშნული მიზნების მისაღწევად დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

- საქართველოში სოციალური სფეროების დაფინანსების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება და დაჯგუფება
- სტატისტიკური მეთოდების შესწავლა და კვლევის პროცესში გამოყენება
- სოციალური სფეროს დაფინანსების დონისა, დინამიკის და სტრუქტურული ცვლილებების ტენდენციების გამოვლენა
- სხვა ქვეყნებთან სოციალური სფეროების დაფინანსებებს შორის არსებული განსხვავებების და თავისებურებების გამოვლენა.

კვლევის პროცესში გამოვიყენეთ სტატისტიკური ანალიზის ისეთი ხერხები და მეთოდები, როგორებიცაა: დაჯგუფების, აბსოლუტური, საშუალო და შეფარდებითი სიდიდეების მეთოდები. რისთვისაც გამოვიანგარიშეთ შესაბამისი დინამიკური მწკრივებისთვის საშუალო დონეები, აბსოლუტური მატებები, ზრდის და მატების ტემპები, საშუალო აბსოლუტური მატებები და საშუალო წლიური ზრდის ტემპები.

კვლევის ობიექტია საქართველოში სოციალური სფეროების დაფინანსება, ხოლო **კვლევის საგანი**- სოციალური სფეროების დაფინანსების დონის, დინამიკისა და სტრუქტურის შესწავლა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს სოციალური სფეროების დაფინანსების სტატისტიკურ ანალიზში არა მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის, არამედ ნაერთი ბიუჯეტის ქრილშიც.

საინფორმაციო ბაზას წარმოადგენს საკვლევ თემაზე არსებული შესაბამისი სახელმწიფო უწყებების დოკუმენტური ანაგარიშგებები და ეკონომიკური პროფილის ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები.

თავი I. სოციალური სფეროების დაფინანსების თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

1.1 საკანონმდებლო ბაზა

სოციალური სფეროების დაფინანსების მექანიზმის შემუშავებასა და რეალიზაციაში სახელმწიფოს როლი, უპირველეს ყოვლისა, განისაზღვრება სამართლებრივი და ნორმატიული უზრუნველყოფით. სამართლებრივი და ნორმატიული უზრუნველყოფა წარმოადგენს საკანონმდებლო და სხვა სამართლებრივი აქტების, კერძოდ, კანონების, პრეზიდენტის ბრძანებულებების, მთავრობის დადგენილების, აგრეთვე, როგორც ცენტრალური საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, ისე ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი მართვის დონეების მეთოდური მითითებების, ინსტრუქციების, ნორმატივების, ნორმების ერთობლიობას. საქართველოში სახელმწიფო ფინანსების განაწილების რეგულირება შემდეგი სამართლებრივი დოკუმენტების მეშვეობით: საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ორგანული კანონი, საქართველოს კანონი გრანტების შესახებ, საქართველოს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშების სრულყოფის შესახებ.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის პირველი მუხლის მიხედვით ეს კოდექსი განსაზღვრავს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების პროექტების მომზადების, განხილვის, დამტკიცების, ბიუჯეტების შესრულების, ანგარიშგებისა და კონტროლის წესებს, აგრეთვე საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების და ამ ხელისუფლებების ორგანოების მიერ

შექმნილი/დაფუძნებული იურიდიული პირების საბიუჯეტო ურთიერთობებსა და პასუხისმგებლობას.¹

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ორგანული კანონის 16 მუხლის მე-2 პუნქტის

ა) ნაწილის მიხედვით მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებში შედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება; საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საბიუჯეტო სახსრების განკარგვა, სახაზინო ფინანსური ოპერაციებისა და საბანკო ტრანზაქციების წარმოება.²

საქართველოს კანონი გრანტების შესახებ მე-4 მუხლში განსაზღვრავს, რომ გრანტის მიმღები შეიძლება იყოს საქართველოს სახელმწიფო საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ უფლებამოსილი ორგანიზაციის სახით, საქართველოს მთავრობა საქართველოს მთავრობის მიერ უფლებამოსილი ორგანოს სახით და საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო. ეს კანონი საშუალებას აძლევს ქვეყანას ფინანსები ქვეყნის გარედანაც მიიღოს.³

საქართველოს ბიუჯეტში ხარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაცია დაფინანსებას ალაგებს არა სამინისტროების, არამედ დარგების მიხედვით, მაგ.: თავდაცვის სამინისტროს ჰოსპიტალი ასახულია „ჯანდაცვაში“ პოლიციის აკადემია - „განათლებაში“ ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი - „კულტურაში“ და ა.შ. იმის შესასწავლად, თუ რა არის ცალკეული დარგების და ამ დარგების შიგნით სექტორების დაფინანსება, ფუნქციონალური კლასიფიკაცია შეუცვლელი წყაროა. ეს უკანასკნელი იძლევა ძალიან სასარგებლო და დეტალური ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტიდან ქვემოთ მოყვანილი 10 დარგისა და ამ დარგების შიგნით ბევრი სხვადასხვა სექტორის დაფინანსების შესახებ .

1) საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება, რაც ძირითადად აღმასრულებელი

¹ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 1

² ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ორგანული კანონი, მუხლი 16

³ საქართველოს კანონი გრანტების შესახებ, მუხლი 3

და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა. 2) თავდაცვა 3) საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება 4) ეკონომიკური საქმიანობა 5) გარემოს დაცვა 6) საბინაო-კომუნალური მეურნეობა 7) ჯანდაცვა 8) დასვენება, კულტურა და რელიგია 9) განათლება 10) სოციალური დაცვა.

დაფინანსების მიზნების მიხედვით ამგვარი დაჯამების გარეშე შეუძლებელია გავიგოთ თუ რამდენი იხარჯება ამ დარგებზე და ამ დარგების შემადგენელ სექტორებზე, რადგან შესაძლოა ერთი მიზნისთვის (მაგ., განათლება) სხვადასხვა უწყება, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ხარჯავდეს ფულს და ეს მათ ბიუჯეტში ცალკე მუხლად არც ჩანდეს, მაგ.: „განათლება“ მოიცავს ზოგად განათლებას, პროფესიულ განათლებას, უმაღლეს განათლებას და ა.შ და განათლებაზე ფულს, შესაძლოა, რამდენიმე სხვადასხვა უწყება ხარჯავდეს; „სოციალური დაცვა“ მოიცავს პენსიებს, შეზღუდული შესაძლებლობების პირთა დახმარებებს, ლტოლვილთა დახმარებებს, საარსებო შემწეობებს და ა.შ. ამავდროულად, ავადმყოფების ან ხანდაზმულების სოციალურ დაცვას შეიძლება ეწეოდეს არა მხოლოდ ჯანდაცვის სამინისტრო, არამედ შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროები, პროკურატურა და სხვა უწყებები.

საბიუჯეტო კოდექსით მკაცრად განსაზღვრულია ბიუჯეტის მომზადების, წარდგენის, განხილვის, დამტკიცების და შესრულების ვადები. პარლამენტში წარდგენილ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თანდართული მასალებით და BDD-ს (ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი) განიხილავენ კომიტეტები, ფრაქციები, უმრავლესობა, უმცირესობა, პარლამენტის დამოუკიდებელი წევრები. მაკროეკონომიკური პარამეტრების საფუძვლიანობის შესაფასებლად, რასაც ეყრდნობა ბიუჯეტის დაგეგმვა, შესაძლებელია პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის დამოუკიდებელი მაკროეკონომიკური პროგნოზების გამოყენება.⁴ საკომიტეტო განხილვების დროს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითად პარამეტრებს წარადგენს ფინანსთა მინისტრი ან მისი მოადგილე, ან მომხსენებელად დანიშნული სხვა პირი, ხოლო

⁴ კუკავა მ. საბიუჯეტო გზამკვლევი, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა, თბ.,2016

სამინისტროების მიერ განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამების და მათი დაფინანსების თაობაზე ინფორმაციას წარადგენს შესაბამისი მინისტრი, მისი მოადგილე, ან სხვა პასუხისმგებელი პირი. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის შემაჯამებელ სხდომამდე ორი დღით ადრე პარლამენტს წარედგინება: 1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტისა და ამ პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ 2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ 3. ეროვნული ბანკის დასკვნა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის ძირითადი პარამეტრების შესახებ. 4. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი ატარებს შემაჯამებელ სხდომას და საკუთარ დასკვნას და სხვა კომიტეტების, ნდობის ჯგუფის, ფრაქციების, უმრავლესობის, უმცირესობის, პარლამენტის დამოუკიდებელ წევრთა, პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის, ეროვნული ბანკისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნებს წარუდგენს პარლამენტის თავმჯდომარეს.

პარლამენტის თავმჯდომარე სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის შესახებ დასკვნებს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მიერ გადაცემიდან 2 დღის ვადაში უგზავნის მთავრობას.⁵

მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის გადამუშავებულ ვარიანტებს გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების შესახებ ინფორმაციასთან ერთად ხელმეორედ წარუდგენს პარლამენტს. პარლამენტის პლენარულ სხდომამდე 1 დღით ადრე სახელმწიფო აუდიტის სამსახური პარლამენტს წარუდგენს დასკვნას სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის გადამუშავებული ვარიანტისა და ამ პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ, ხოლო ეროვნული ბანკი – დასკვნას სახელმწიფო ბიუჯეტის

⁵ კუკავა მ. საბიუჯეტო გზამკვლევი, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა, თბ., 2016

კანონპროექტის გადამუშავებული ვარიანტის ძირითადი პარამეტრების შესახებ.⁶ კომიტეტები, ფრაქციები, უმრავლესობა და უმცირესობა, დამოუკიდებელი პარლამენტის წევრები თავიანთ დასკვნებსა და შენიშვნებს წარუდგენენ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს, რომელიც მათ თავის დასკვნასთან და წინადადებებთან ერთად იმავე დღეს უგზავნის პარლამენტის თავმჯდომარეს. პარლამენტის თავმჯდომარე დასკვნებსა და წინადადებებს უგზავნის საქართველოს მთავრობას. პლენარულ სხდომაზე წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტსა და მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიმოხილვის შესახებ მოხსენებას წარადგენს პრემიერ-მინისტრი ან მთავრობის რომელიმე წევრი. პარლამენტი ასევე ისმენს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, ეროვნული ბანკისა და პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მოხსენებებს. მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის და BDD-ის საბოლოო ვარიანტებს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციასთან ერთად წარუდგენს პარლამენტს.

ბიუჯეტის შესრულების ანგარიში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია იმის შესაფასებლად თუ რამდენად მიზანშეწონილად დაიხარჯა სახელმწიფო ფინანსების. ჩვენი კვლევა ძირითადად ეყრდნობა ხარჯების ნაწილს. აქ უმთავრესი პრობლემაა არათანაბარი ხარჯვა, რაც არის წლის ბოლო თვეებში წინა პერიოდებთან შედარებით გაცილებით მეტი სახსრების ათვისება. არათანაბარმა ხარჯვამ შესაძლოა მოიტანოს არაერთი უარყოფითი შედეგი, მაგ., ლარის კურსზე ზეწოლა, ნაჩქარევად ჩატარებული ტენდერები, წლის ბოლოს აუთვისებელი ბიუჯეტი და ა.შ

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფუნქციონალური კლასიფიკაცია, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მე-3 თავის მე-9 მუხლშია მოცემული, გვაძლევს ცალკეული დარგების და ამ დარგების შიგნით სექტორების დაფინანსებას. ბიუჯეტის კანონში ქვემოთ მოცემულ ცხრილში არსებული ზოგიერთი სექტორის დაფინანსება შესაძლოა არ იყოს მოცემული, თუმცა მათთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოთხოვა ფინანსთა სამინისტროსგან

⁶ კუკავა მ. საბიუჯეტო გზამკვლევი, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა, თბ.,2016

არის შესაძლებელი. ყველა იმ მუხლის ჩათვლით, რომელსაც შეიძლება მოიცავდეს განათლების დარგის დაფინანსება სტრუქტურულად შემდეგნაირად გამოიყურება :

1)სკოლამდელი აღზრდა 2)ზოგადი განათლება 2.1)დაწყებითი ზოგადი განათლება 2.2)საბაზო ზოგადი განათლება 2.3)საშუალო ზოგადი განათლება 3)პროფესიული განათლება 4)უმადლესი განათლება 4.1)უმადლესი პროფესიული განათლება 4.2) უმაღლესი აკადემიური განათლება 5)უმადლესი განათლების შემდგომი განათლება 6)განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება 7)გამოყენებითი კვლევები განათლების სფეროში 8)სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში

ჯანდაცვის სფეროს სტრუქტურა ფუნქციონალური ნიშნით შემდეგნაირია :

1)სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები 1.1)ფარმაცევტული პროდუქცია 1.2)სხვა სამედიცინო პროდუქცია 1.3)თერაპიული დანიშნულების მოწყობილობები და აპარატები 2)ამბულატორიული მომსახურება 2.1)ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება 2.2)სპეციალიზებული ამბულატორიული მომსახურება 3)სტომატოლოგიური მომსახურება 4)საშუალო სამედიცინო პერსონალის მომსახურება 5)საავადმყოფოების მომსახურება 5.1)ზოგადი პროფილის საავადმყოფოების მომსახურება 5.2)სპეციალიზებული საავადმყოფოების მომსახურება 5.3)სამედიცინო ცენტრებისა და სამშობიარო სახლების მომსახურება 5.4)სანატორიუმებისა და გამაჯანსაღებელი სახლების მომსახურება 6)საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება 7)გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში 8)სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში.⁷

სოციალური დაცვის სფეროს სტრუქტურა ფუნქციონალური ნიშნით შემდეგნაირია:

1)ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა 1.1)ავადმყოფთა სოციალური დაცვა 1.2)შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა 3)ხანდაზმულთა სოციალური დაცვა 4)მარჩენალდაკარგულ პირთა

⁷ კუკავა მ. საბიუჯეტო გზამკვლევი, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა, თბ.,2016

სოციალური დაცვა 5)ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა 5.1)უმუშევართა სოციალური დაცვა 6)საცხოვრებლით უზრუნველყოფა 7)სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას 8)გამოყენებითი კვლევები სოციალური დაცვის სფეროში 9)სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში.

სახელმწიფო ბიუჯეტში განათლებაზე გამოყოფილი რესურსები თითქმის მთლიანად განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბიუჯეტში მიდის. ეს უკანასკნელი კი თავის თავზე იღებს სასკოლო მზაობის გაზრდის ხელშეწყობას, განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდას, პროფესიული განათლების როლის გაძლიერებას, კვლევითი პოტენციალის გაზრდას და ა.შ.

ჯანმრთელობის დაცვაზე გამოყოფილი სახსრების უდიდესი წილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბიუჯეტში მიდის, რომლის პასუხისმგებლობებში შედის :ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა ;მოსახლეობის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება და საქმიანობის კოორდინაცია, აგრეთვე დევნილთა, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ პირთა (ეკომიგრანტთა) სოციალური დაცვისა და განსახლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელების კოორდინაცია; ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მარეგულირებელი აქტების მომზადება და ზედამხედველობა; სამედიცინო საქმიანობის ხარისხის კონტროლი და უსაფრთხოების უზრუნველყოფა; სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის კონტროლი; სამკურნალო საშუალებების ხარისხზე, მათ მიმოქცევასა და ფარმაცევტულ საქმიანობაზე ზედამხედველობა; სოციალური დახმარებების, პენსიებისა და სხვადასხვა ფულადი და არაფულადი სახელმწიფო ბენეფიტების მიძღვრება გამოვლენა, დადგენა და აღრიცხვა, მათთვის დახმარების დანიშვნა და მისი გაცემის ორგანიზება; საზოგადოების

საჭიროებებზე ორიენტირებული ჯანმრთელობის დაცვის სერვისების შეუფერხებელი მიწოდება;⁸

სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო ინტერესებს ძირითადად სოციალური დაცვის სააგენტო ატარებს, რომელიც თავის მხრივ ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში იმყოფება. კერძოდ კი ეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი ანგარიშვალდებულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვაზე და მხარდაჭერაზე; ასევე, მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა, ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ბავშვთა მოვლა-პატრონობაზე გრძელვადიან პერიოდში; საქართველოს ტერიტორიულ ერთეულებში საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების მართვაზე; ქვეყანაში შრომის ბაზრის პოლიტიკის, დასაქმების ხელშეწყობისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების მართვაზე, შრომითი ურთიერთობების გაუმჯობესებაზე; იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა, ეკომიგრანტთა და მიგრანტთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

1.2 დაფინანსების წყაროები

მიუხედავად იმისა, რომ დაფინანსების სხვა წყაროებს შორის (ბიზნესი, შემოწირულობა კერძო პირისგან, თვითდაფინანსება), სახელმწიფოს წილი სოციალურ სფეროზე ორიენტირებული ორგანიზაციების დაფინანსებაში ყველაზე მაღალია, კერძო სექტორიც ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს, განსაკუთრებით კი ჯანდაცვის დაფინანსების კუთხით. კერძო სექტორთან ერთად სოციალური სფეროს დაფინანსებაში მონაწილეობენ საერთაშორისო დონორებიც საერთაშორისო ორგანიზაციების სახით, რომლებიც პერიოდულად გრანტებით უზრუნველყოფენ საქართველოს.

⁸ მოქალაქის გზამკვლევი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2018

ამჟამად, ჯანდაცვის დაფინანსების მიმართულებით საქართველოში გამოირჩევიან შემდეგი საერთაშორისო ორგანიზაციები : ღია საზოგადოების ფონდი (OSI), გაერთიანებული ერების მოსახლეობის ფონდი (UNFPA), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), გაერთიანებული ერების აივ ვირუსის და შიდსის პროგრამა (UNAIDS), მსოფლიო ბანკი, ჩეხეთის განვითარების სააგენტო, მსოფლიოს ჯანმრთელობის ორგანიზაცია (WHO) , ევროკავშირი, გაერთიანებული ერების ბავშვების ფონდი (UNICEF), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, როსტროპოვიჩ-ვიშნევსკაიას ფონდი.

ქვეყნები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან იმის მიხედვით, თუ რა წყაროებიდან მოდის განათლებისა და კვლევის დაფინანსება. როცა დაფინანსების წყაროებზე საუბრობენ, ერთმანეთისგან ასხვავებენ ძირითადად სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებას, შინამეურნეობების ან ინდივიდების მიერ გაწეულ ხარჯებს და სხვა კერძო წყაროების მხრიდან დაფინანსებას. გარდა სახელმწიფო საბიუჯეტო თანხებისა და შინამეურნეობების დანახარჯებისა, განვითარებულ ქვეყნებში უმაღლეს განათლებასა და კვლევაზე სხვა კერძო წყაროებიდანაც საკმაოდ დიდი თანხები იხარჯება. ეს წყაროები ძირითადად სხვადასხვა ბიზნესები და ბანკები არიან. დაფინანსების ეს დამატებითი წყაროებიც გასათვალისწინებელია დაფინანსების შესწავლისას.

მიუხედავდ იმისა, რომ განათლებისა და მეცნიერების სფეროში დაფინანსების უდიდესი წყაროს საქართველოს განათლებისა, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო წარმოადგენს, ასევე გამოირჩევიან ისეთი დონორი ორგანიზაციები, როგორცაა ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, USAID-ი, მსოფლიო ბანკი, UNICEF-ი და აშშ ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სისტემის რეფორმირებისას უმნიშვნელოვანესია ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ათასწლეულის გამოწვევის მეორე კომპაქტის ფარგლებში მიმდინარე დახმარება, რომლის ჯამურ ღირებულებას 140 მილიონი აშშ დოლარი

შეადგენს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ტექნიკური დახმარების გარდა, რეგიონებში ასამდე საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტში 2020-2023 წლებისთვის ნახსენებია, რომ სახელმწიფოს სამომავლო გეგმებში შედის საზღვარგარეთ სამეცნიერო ცენტრებსა და უნივერსიტეტებთან სამეცნიერო თანამშრომლობა და ერთობლივი პროექტების განხორციელების გზით უცხოელი და ქართველი მეცნიერების ერთობლივი კვლევითი პროგრამების განხორციელებისთვის ხელშეწყობა. სახელმწიფო მხარს დაუჭერს საქართველოს გაწევრიანებას ევროპული კვლევებისა და ტექნოლოგიების თანამშრომლობის ორგანიზაციასა (COST) და ევროპის აკადემიაში (Academia Europea). სახელმწიფო მხარს დაუჭერს ევროკომისიის პროგრამის „Horizon-2020“-ის და მომდევნო ჩარჩო-პროგრამის „Horizon Europe“ ფარგლებში თანამშრომლობას, რაც საერთაშორისო თანამშრომლობისა და დაფინანსების ახალ პერსპექტივებს სთავაზობს ქართველ მეცნიერებს, ბიზნესმენებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს.⁹

თავი II. სოციალური სფეროების დაფინანსების დონის, დინამიკის და სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზი

მიზანმიმართული სოციალური პოლიტიკის გატარება, ეკონომიკური ზრდა და ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება სიღარიბის და სოციალური უთანასწორობის შემცირების ძირითადი პირობაა. ქვეყანაში სოციალური პოლიტიკის განხორციელება გულისხმობს რესურსების ისეთ გადანაწილებას, რომელიც დიდ სოციალურ უკუგებას იძლევა. მთავარია არა დაფინანსების ნომინალურ გამოსახულებაში ზრდა, არამედ სახსრების რაციონალურად მიმართვა, რაც უნდა აისახოს სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში და ეკონომიკური აქტიურობის წახალისებაში.

⁹ ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2019-2022 წლებისთვის, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სტატისტიკური კვლევის ეტაპზე პირველადი მასალის დაჯგუფება და განზოგადებული მაჩვენებლების გაანგარიშება მნიშვნელოვანი მოვლენების დროში ცვლილებების ანალიზის საშუალებას იძლევა, რაც მიიღწევა დინამიკის მწკრივების აგებითა და დამუშავებით. დინამიკურ მწკრივებს გააჩნიათ მნიშვნელოვანი სამეცნიერო-შემცენებითი პოტენციალი და, ამასთან ერთად, წარმოადგენენ მაჩვენებლურ დროში ცვლილების ასახვის მარტივ და თვალსაჩინო ხერხს. განვიხილოთ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები სოციალური სფეროების დაფინანსების შესახებ საქართველოში, რომლებიც ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებშია მოცემული და რომელთა საჯაროდ ხელმისაწვდომობას საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უზრუნველყოფს.

სოციალური სფერო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საქართველოს ბიუჯეტში და წლიდან წლამდე მისი წილი სულ უფრო მეტად იზრდება. მაშინ როცა მთლიანად ამ სფეროზე სახელმწიფო ბიუჯეტში ჯამურად 2006 წელს 1176.6 მილიონი ლარი დაიხარჯა, 2018 წელს ანალოგიურმა მაჩვენებელმა 5096.5 მილიონ ლარამდე მიაღწია, რაც ნიშნავს რომ ნომინალურ გამოსახულებაში ხარჯები ამ პერიოდში დაახლოებით 4-ჯერ გაიზარდა. საქართველოსთვის სოციალური სფეროების პრიორიტეტულობას ისიც ადასტურებს, რომ 2018 წელს განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის დაფინანსებაზე ბიუჯეტის დაახლოებით 44 % იხარჯება, მაშინ როცა ბიუჯეტის დანარჩენ 7 ფუნქციონალურ მუხლზე ნაწილდება დანარჩენი 56 %.

ცხრილი 2.1 საქართველოში სოციალური სფეროების დაფინანსების დინამიკა


წელი	განათლება	ჯანდაცვა	სოციალური დაცვა	მთლიანად სოციალური სფეროების დაფინანსება
2006	348.4	205.5	622.7	1176.6
2007	384	240.6	777.6	1402.2
2008	420.5	283.9	1106.4	1810.8

2009	459.6	331.6	1249.6	2040.8
2010	504.1	415	1278.2	2197.3
2011	564.9	362.5	1447.9	2375.3
2012	652.5	373.8	1575.5	2601.8
2013	682.6	481.3	1816.8	2980.7
2014	739.7	652.9	2174.9	3567.5
2015	833.9	855.1	2217.6	3906.6
2016	1024.7	982.5	2410.2	4417.4
2017	1172.5	1066.3	2545.4	4784.2
2018	1255.9	1141.6	2699	5096.5

წყარო : საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ავტორის გამოთვლები.

დიაგრამა 2.2 ნათლად გვიჩვენებს სოციალურ სფეროებზე სახელმწიფო დაფინანსების განუხრელ ზრდას, რომელმაც 2018 წელს 5096.5 მილიონი ლარი შეადგინა და 2006 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს დაახლოებით 4-ჯერ აღემატებოდა.


დიაგრამა 2.2. სოციალურ სფეროებზე სახელმწიფო დაფინანსების დინამიკა მილიონ ლარებში (2006-2018)



როგორც დიაგრამიდან ჩანს, მოცემულ საანგარიშო პერიოდში სოციალური სფეროების დაფინანსება ძირითადად ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, თუ არ ჩავთვლით

პერიოდის დასაწყისში 2007 წელს 2006 წელთან შედარებით დაახლოებით 5 %-იან კლებას და პერიოდის ბოლოს, 2017 წლიდან შემცირების ტენდენციას. ნომინალურ გამოსახულებაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2016 წელს დაფიქსირდა 47 %-ის სახით, მინიმალური კი 2007-2008 წლებში , რაც 2008 წლის აგვისტოს ომმა და მის შედეგად შეფერხებულმა ეკონომიკამ გამოიწვია.

დიაგრამა 2.1 სოციალური სფეროების წილი სახელმწიფო დანახარჯებში



სოციალურ სფეროზე აბსოლუტურ გამოსახულებაში გაწეულ მთლიან სახელმწიფო ხარჯებთან ერთად სანტერესოა, თუ როგორ იცვლებოდა ერთ სულ მოსახლეზე სახელმწიფო დაფინანსება. ამ მაჩვენებლის გასაანგარიშებლად დაგვჭირდება მოსახლეობის რაოდენობა საანგარიშო პერიოდში და სახელმწიფო ხარჯები სოციალურ სფეროებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ცხრილი 2.2 მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა საქართველოში

წელი	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
მოსახლეობის	3.89	3.87	3.85	3.83	3.8	3.77	3.74	3.72	3.72	3.72	3.73	3.73	3.73

გავიანგარიშოთ სოციალური სფეროების დაფინანსებაზე სახელმწიფო ხარჯების საშუალო დონე მოცემული 13 წლის გამავლობაში, საშუალო შეწონილი არითმეტიკულის ფორმულით:

$$y_{საშ} = 2,617.9$$

რაც ნიშნავს, რომ მოცემული წლების განმავლობაში საშუალოდ სოციალური სფეროები სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა 2 617.9 მილიონი ლარით.

მონაცემების მიხედვით გავიანგარიშოთ აბსოლუტური მატება ჯაჭვური წესით, ყოველი წლისთვის:

$$\Delta y = y_i - y_{i-1} ,$$

Y_i - სოციალური სფეროების სახელმწიფო დაფინანსება მოცემულ წელს

Y_{i-1} - სოციალური სფეროების სახელმწიფო დაფინანსება წინა წელს

აბსოლუტური მატება გვიჩვენებს, თუ რამდენითაა მეტი ან ნაკლები მოცემული პერიოდის დონე წინა ან საბაზისო პერიოდის დონეზე.

ასევე გავიანგარიშოთ ზრდის ტემპი ყოველი წლისთვის, რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენჯერ მეტი ან ნაკლებია მოცემული პერიოდის დონე წინა ან საბაზისო პერიოდის დონეზე. ზრდის ტემპი, გავიანგარიშოთ ჯაჭვური ხერხით, როდესაც ყოველი მომდევნო დონე იყოფა წინა დონეზე:

$$K_{ჯაჭ.} = y_t / y_{t-1} * 100^{10}$$

ერთ-ერთ მნიშვნელოვანი სტატისტიკური მაჩვენებელია ასევე მატების ტემპი. ეს არის შეფარდებითი სიდიდე, რომელიც ახასიათებს, თუ რამდენი პროცენტითაა ერთი დონე მეტი ან ნაკლები მეორე დონეზე. ის მიიღება ზრდის ტემპიდან 100%-ის გამოკლებით:

¹⁰ გაბიძაშვილი ბ., „სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში“. მე-4 შვესებული და გადამუშავებული გამოცემა. გამომც. : „უნივერსალი“. თბ., 2011., გვ 308

ზემოთ ხსენებული წესით გაანგარიშებული აბსოლუტური მატება, ზრდის და მატების ტემპი წარმოვადგინოთ ცხრილის სახით:


ცხრილი 2.4 სოციალური სფეროების დაფინანსების დინამიკის მაჩვენებლები

წელი	აბსოლუტური მატება	ზრდის ტემპი	მატების ტემპი
2007-2006	225.6	119.2	19.2
2008-2007	408.6	129.1	29.1
2009-2008	230	112.7	12.7
2010-2009	156.5	107.7	7.7
2011-2010	178	108.1	8.1
2012-2011	226.5	109.5	9.5
2013-2012	378.9	114.6	14.6
2014-2013	586.8	119.7	19.7
2015-2014	339.1	109.5	9.5
2016-2015	510.8	113.1	13.1
2017-2016	366.8	108.3	8.3
2018-2017	312.3	106.5	6.5

წყარო : საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ავტორის გამოთვლები.


მაქსიმალური აბსოლუტური მატება 2014 წელს დაფიქსირდა 2013 წელთან შედარებით და აჩვენა, რომ წინა წელთან შედარებით ხარჯები სოციალურ სფეროებზე 586.8 მილიონი ლარით გაიზარდა. ხოლო მინიმალური 2010 წელს 2009 წელთან შედარებით, როცა მატებამ 156.5 მილიონი ლარი შეადგინა.

დიაგრამა 2.4 აბსოლუტური მატება სოციალური სფეროების დაფინანსებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტში (2006-2018)




რაც შეეხება ზრდის და მატების ტემპებს, მაქსიმალური 2014 წელს დაფიქსირდა 2013 წელთან შედარებით, ხოლო მინიმალური 2010 წელს 2009 წელთან შედარებით.

დიაგრამა 2.5 ზრდის ტემპი სოციალური სფეროების დაფინანსებისთვის (2006-2018)



დიაგრამა 2.6 მატების ტემპი სოციალური სფეროების დაფინანსებისთვის



წყარო : საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ავტორის გამოთვლები.

საშუალო აბსოლუტური მატება გაიანგარიშება ფორმულით $\Delta = \sum \Delta_i / (n-1)$ ¹¹, სადაც Δ -ჯაჭვური წესით გაანგარიშებული აბსოლუტური მატებანია, ხოლო n - დინამიკური მწკრივის დონეთა რიცხვი. ჩვენს შემთხვევაში $\Delta = \frac{3919.9}{12} = 326.7$, რაც იმას ნიშნავს, რომ საშუალოდ ყოველწლიურად სოციალური სფეროების დაფინანსება **326.7**, მილიონი ლარით იზრდებოდა.

საშუალო წლიური ზრდის ტემპი გვიჩვენებს საშუალოდ წლიურად რამდენჯერ იზრდებოდა მოცემული მაჩვენებელი, მისი გაანგარიშებისთვის იყენებენ შემდეგ ფორმულას:

$$K = \sqrt[n-1]{\frac{Y_n}{Y_1}}$$


$$K = \sqrt[12]{\frac{5096.5}{1176.6}} = 1.13$$

¹¹ გაბიძაშვილი ბ., „სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში“. მე-4 შეესებული და გადამუშავებული გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბ., 2011., გვ. 309

ჩვენს შემთხვევაში $K=1,13$; ე.ი. საშუალოდ წლიურად სახელმწიფო სოციალურ სფეროებზე დაფინანსებას 1,13-ჯერ ანუ 13%-ით ზრდიდა.

იმისთვის, რომ რეალურად გავაანალიზოთ არსებული სიტუაცია საბიუჯეტო დაფინანსებასთან დაკავშირებით, საინტერესოა შევხედოთ დინამიკის მაჩვენებლებს ბიუჯეტის დანარჩენი ფუნქციონალური მუხლებისთვის. თუ გავიანგარიშებთ საშუალო წლიურ აბსოლუტურ მატებას ბიუჯეტის ყველა მუხლისთვის მოცემულ პერიოდში ვნახავთ, რომ ყველაზე მეტად იზრდებოდა სოციალური დაცვაზე გაწეული დანახარჯები, კერძოდ კი საშუალოდ 173 მილიონი ლარით. მეორე ადგილზე საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაა, რომლის დაფინანსებაც საშუალოდ 126,4 მილიონი ლარით იზრდებოდა. არსებული 10 საბიუჯეტო ფუნქციონალური მუხლიდან, ჯანმრთელობის დაცვა მეოთხე ადგილზეა ყოველწლიურად საშუალოდ 78 მილიონი ლარი მატებით, ხოლო განათლება მეხუთე ადგილზე 75.6 მილიონი ლარით.


დიაგრამა 2.7 საშუალო წლიური აბსოლუტური მატება ბიუჯეტის ფუნქციონალური მუხლებისთვის (2006-2018)



წყარო : საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ავტორის გამოთვლები.

საშუალოწლიური ზრდის ტემპის მიხედვით კი, რომელიც გვიჩვენებს საშუალოდ რამდენჯერ იზრდებოდა მაჩვენებელი, ლიდერობს ჯანდაცვის დაფინანსება 1,3 %, მას მოჰყვება დასვენება, კულტურა , რელიგია 1,14 %-ით. მესამე ადგილს სოციალური დაცვა იკავებს, რომელიც საშუალოდ წელიწადში 13 %-ით იზრდებოდა. განათლებაზე სახელმწიფო დაფინანსება კი საშუალოდ საანგარიშო პერიოდში 11 %-ით იზრდებოდა.

დიაგრამა 2.8 საშუალო წლიური ზრდის ტემპი სოციალურის სფეროების დაფინანსებისთვის (2006-2018)



წყარო : საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ავტორის გამოთვლები.

„საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით 2019 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოსაყოფი ასიგნებები სოციალურ სფეროებზე შემდეგნაირად გადანაწილდა: სოციალური დაცვა - 3 042.6 მლნ ლარი, განათლება - 1 373.0 მლნ ლარი, ჯანმრთელობის დაცვა - 1 146.7 მლნ ლარი; მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფისთვის გამოყოფილია 1 925.0 მლნ ლარი; სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციართა სოციალური დახმარებებისთვის გამოყოფილია 770.0 მლნ ლარი; მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის გათვალისწინებულია 1 044.6 მლნ ლარი, მათ შორის საყოველთაო ჯანდაცვისათვის - 754.0 მლნ ლარი.• დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე მიმართული იქნება 90.0 მლნ ლარი.

2.1 განათლების დაფინანსების დონის, დინამიკის და სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზი

ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსი ადამიანური კაპიტალია. საქართველოსთვისაც განათლება და მეცნიერება პრიორიტეტული და გრძელვადიან შედეგზე გათვლილი სფეროებია. საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის სურვილი თავის თავში მოიაზრებს საგანმანათლებლო ინტეგრაციასაც, რაც ამ სფეროში ფინანსების მიზანშეწონილად ხარჯვითაა შესაძლებელი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სფეროში არსებული პოსტსაბჭოური სისტემის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად გარდაქმნის მიზნით ბოლო ათწლეულის მანძილზე არაერთი რეფორმა განხორციელდა. პირველი ინტერვენციების გარკვეული დადებითი შედეგების მიუხედავად შემდგომი არათანამიმდევრული პოლიტიკისა და სფეროს არასათანადო დაფინანსების პირობებში სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო დაწყებული ცვლილებების წარმატებით დასრულება და სისტემის მუდმივი განვითარება. აღსანიშნავია, რომ საქართველოში განათლებისა და მეცნიერების სფეროს დაფინანსება მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, ასე ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებს. განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების წილი 2018 წლის მონაცემებით ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების 10.3%-ს შეადგენდა, რაც დაბალია მსგავსი ეკონომიკური განვითარების ქვეყნებთან შედარებით.

2006 წელი გარდატეხის წელი იყო საქართველოს საგანმანათლებლო რეფორმებში ფინანსური თვალსაზრისით. განათლების სფეროს დაფინანსება დაეფუძნა საკმაოდ სოლიდურ სახელმწიფო ინვესტიციებს. განათლების სფეროში ხარჯები გაიზარდა 3,1 ჯერ, მაშინ როდესაც 2000-2005 წლებში საშუალო ზრდა შეადგენდა 1,3 პროცენტს. ამასთან, განათლების ხარჯების წილი მთლიან სახელმწიფო ხარჯებში თუ 2000-2005 წლებში შეადგენდა 3,2 პროცენტს, 2006-08 წლებში მან შეადგინა საშუალოდ 8,6 პროცენტი.

განათლების სფეროში დაფინანსების გასაანალიზებლად საჭიროა განათლების მთლიანი დაფინანსების გაგება და დაფინანსების წყაროების მიხედვით მისი სტრუქტურის შესწავლა. საყურადღებოა იმის გაგება თუ რა ნაწილს ფარავს სახელმწიფო, რა ნაწილს აფინანსებენ კერძო წყაროები და რამდენად დიდია ე.წ. “ჯიბიდან გადახდილი” თანხები – ანუ ინდივიდებისა თუ შინამეურნეობების მიერ გადახდილი სწავლის საფასური. ინდივიდებისა თუ მათი ოჯახების მიერ გადახდილი თანხების სიდიდით შეიძლება შევფასოთ განათლების ხელმისაწვდომობა ქვეყანაში: თუ განათლების საფასურის გადახდა უწევს შინამეურნეობათა დიდ პროცენტს, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუკი ისინი დაბალ სოციალურ კატეგორიას განეკუთვნებიან, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ განათლება ქვეყანაში ნაკლებად ხელმისაწვდომია. ეს კი ძირითად შემთხვევაში მაშინ ხდება, როდესაც სახელმწიფოს წილი განათლების დაფინანსებაში მცირეა. განვითარებულ ქვეყნებში, როგორც წესი უმაღლესი განათლების ძირითად წყაროს (ხშირ შემთხვევაში 70%-ზე მეტს) სახელმწიფო დაფინანსება წარმოადგენს, ევროკავშირის ქვეყნებში სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯები 80%-ს უახლოვდება. თუმცა, ამ ქვეყნებში ასევე მზარდია სხვა კერძო დაფინანსების წყაროების (მაგ: კერძო ბიზნესები, არა-მომგებიანი, მათ შორის რელიგიური და საქველმოქმედო ორგანიზაციები, და ბიზნესისა და შრომის ასოციაციები) წილიც, რაც თავის მხრივ ასევე ამცირებს შინამეურნეობათა მიერ გადახდილ თანხებს. უმთავრესი პრინციპი კი არის ის, რომ განათლება ხელმისაწვდომი იყოს სტუდენტისათვის მისი ეკონომიკური შესაძლებლობის მიუხედავად, სწორედ ამიტომ, უმაღლესი განათლებისა და კვლევის დაფინანსება განვითარებული ქვეყნებისათვის, როგორც წესი საბიუჯეტო პრიორიტეტს წარმოადგენს.

არსებული მონაცემებით, საქართველოს სკოლამდელ საგანმანათლებლო სისტემაში, ფუნქციონირებს 1447 ბაგა-ბაღი, რომლებშიც დასაქმებულია 5184 აღმზრდელი და 600 მეთოდისტი. საქართველოში ფუნქციონირებს 2085 საჯარო და 236 კერძო სკოლა. 2016-2017 სასწავლო წლის სტატისტიკის შესაბამისად, ქვეყნის მასშტაბით, სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა შედგენს 564 729 მოსწავლეს (საჯარო 508 888; კერძო - 55 841), ხოლო სკოლის მოსწავლეებელთა რაოდენობაა 65 445 (საჯარო - 59 779; კერძო - 5 666).

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის რაოდენობაა საჯარო დაწესებულებებში 22 179, ხოლო კერძოში - 4 022. პროფესიული განათლების პროგრამებს ახორციელებს 39 საჯარო და 78 კერძო დაწესებულება. აღნიშნულ დაწესებულებებში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შედგენს 16 516 (საჯარო 12 037; კერძო - 4 479), ხოლო პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა შეადგენს 4 172 (საჯარო - 2 198 ; კერძო - 1 974). აღნიშნულ დაწესებულებებში დასაქმებული პერსონალის რაოდენობაა 1637 (საჯარო -798; კერძო - 839). საქართველოში ფუნქციონირებს 75 ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც 140 000-მდე სტუდენტი სწავლობს და დასაქმებულია 13 000-მდე აკადემიური, კვლევითი და ადმინისტრაციული პერსონალი. უნივერსიტეტებში ინტეგრირებულ 42 სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დასაქმებულია 2446 პირი, ხოლო 3 სსიპ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში - 461 პირი.¹²

წარმოვადგინოთ ცხრილის სახით, როგორც ნაერთ ასევე სახელმწიფო ბიუჯეტში განათლების დაფინანსებაზე გაწეული დანახარჯები :

ცხრილი 2.2.1 განათლებაზე დანახარჯები სახელმწიფო და ნაერთ ბიუჯეტებში (2006-2018)

წელი	განათლებაზე ნაერთ ბიუჯეტში, ლარი	ხარჯები მლნ.	განათლებაზე სახელმწიფო ბიუჯეტში, მლნ. ლარი	ხარჯები მლნ.
2006	413.8		348.4	
2007	458.2		384	
2008	553.8		420.5	
2009	579.6		459.6	
2010	611.7		504.1	
2011	656.4		564.9	
2012	757.7		652.5	
2013	825.5		682.6	
2014	933		739.7	


¹² წყარო : საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2015	1074	833.9
2016	1287.9	1024.7
2017	1457	1172.5
2018	1570.4	1255.9

წყარო : საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

როგორც დიაგრამაზე ცხადად ჩანს, განათლებაზე სახელმწიფო ხარჯები 2006-2018 წლებში განუხრელად იზრდებოდა და შესაბამისად ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, როგორც სახელმწიფო ისე ნაერთ ბიუჯეტში 2006 წელს, ხოლო ყველაზე მაღალი 2018 წელს დაფიქსირდა. 2018 წელს 2006 წელთან შედარებით განათლებაზე ხარჯები დაახლოებით 4-ჯერ გაიზარდა.

დიაგრამა 2.2.1 განათლებაზე სახელმწიფო დანახარჯების დინამიკა



გავიანგარიშოთ განათლებაზე გაწეული სახელმწიფო ხარჯების საშუალო დონე მოცემული 13 წლის გამავლობაში, საშუალო არითმეტიკულის ფორმულით, როგორც სახელმწიფო ასევე ნაერთი ბიუჯეტისთვის

- 1) $\gamma_{საშ} = 695.6$ (სახელმწიფო ბიუჯეტისთვის)
- 2) $\gamma_{საშ} = 859.9$ (ნაერთი ბიუჯეტისთვის)

რაც ნიშნავს, რომ მოცემული წლების განმავლობაში საშუალოდ განათლება სახელმწიფო ბიუჯეტიდან 695.6 მილიონი ლარით ფინანსდებოდა, მთლიანად ნაერთ ბიუჯეტში კი განათლებაზე საშუალოდ 859.9 მილიონი ლარი იყო გამოყოფილი.

მონაცემების მიხედვით გავიანგარიშეთ აბსოლუტური მატება ჯაჭვური ხერხით ყოველი წლისათვის და წარმოვადგინოთ ცხრილის სახით :

ცხრილი 2.2.2 აბსოლუტური მატება განათლებაზე დანახარჯებისთვის სახელმწიფო და ნაერთ ბიუჯეტებში (2006-2018)


წლები	აბსოლუტური მატება (ჯაჭვური) ნაერთ ბიუჯეტში განათლებაზე გამოყოფილი ხარჯებისთვის	აბსოლუტური მატება (ჯაჭვური) სახელმწიფო ბიუჯეტში განათლებაზე გამოყოფილი ხარჯებისთვის
2007-2006	44.4	35.6
2008-2007	95.6	36.5
2009-2008	25.8	39.1
2010-2009	32.1	44.5
2011-2010	44.7	60.8
2012-2011	101.3	87.6
2013-2012	67.8	30.1
2014-2013	107.5	57.1
2015-2014	141	94.2
2016-2015	213.9	190.8
2017-2016	169.1	147.8
2018-2017	113.4	83.4

წყარო : საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ავტორის გამოთვლები

ჯაჭვური წესით გაანგარიშებული აბსოლუტური მატება გვიჩვენებს, თუ რამდენი ლარით გაიზარდა განათლებაზე გამოყოფილი სახელმწიფო ხარჯები წინა წელთან შედარებით. როგორც ვხედავთ, ამ სფეროში ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდა გვაქვს 2016 წელს 2015

წელთან შედარებით. მოცემული პერიოდის განმავლობაში კლება დაფიქსირდა 2012 და 2018 წლებში.

დიაგრამა 2.2.2 აბსოლუტური მატება განათლების დაფინანსებისთვის სახელმწიფო და ნაერთ ბიუჯეტებში



გავიანგარიშოთ ზრდის ტემპი ჯაჭვური მეთოდით განათლების დაფინანსებისთვის და წარმოვადგინოთ ცხრილის სახით:

ცხრილი 2.2.3 ზრდის ტემპი განათლების დაფინანსებისთვის სახელმწიფო და ნაერთ ბიუჯეტებში (2006-2018)

წლები	ზრდის ტემპი ჯაჭვური (ნაერთ ბიუჯეტში განათლებაზე გამოყოფილი ხარჯებისთვის)	ზრდის ტემპი ჯაჭვური (სახელმწიფო ბიუჯეტში განათლებაზე გამოყოფილი ხარჯებისთვის)
2007-2006	110.7	110.2
2008-2007	120.9	109.5
2009-2008	104.7	109.3
2010-2009	105.5	109.7
2011-2010	107.3	112.1
2012-2011	115.4	115.5
2013-2012	108.9	104.6
2014-2013	113	108.4
2015-2014	115.1	112.7
2016-2015	119.9	122.9
2017-2016	113.1	114.4
2018-2017	107.8	107.1

წყარო : საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ავტორის გამოთვლები.

ამ შემთხვევაში ზრდის ტემპი ნაერთი ბიუჯეტისთვის ყველაზე მაღალი იყო 2008 წელს 2007 წელთან შედარებით, ხოლო ზრდის ყველაზე დაბალი ტემპი ნაერთი ბიუჯეტისთვის შეინიშნება 2018 წელს 2017 წელთან შედარებით. სახელმწიფო ბიუჯეტისთვის მაქსიმალური ზრდის ტემპი 2016 წელს დაფიქსირდა 2015 წელთან შედარებით, მინიმალური კი- 2018 წელს 2017 წელთან შედარებით.


ცხრილი 2.2.4 მატების ტემპი განათლების დაფინანსებისთვის სახელმწიფო და ნაერთ ბიუჯეტებში (2006-2018)

წლები	მატების ტემპი (ნაერთ ბიუჯეტში განათლებაზე გამოყოფილი ხარჯებისთვის)	მატების ტემპი (სახელმწიფო ბიუჯეტში განათლებაზე გამოყოფილი ხარჯებისთვის)
2007-2006	10.7	10.2
2008-2007	20.9	9.5
2009-2008	4.7	9.3
2010-2009	5.5	9.7
2011-2010	7.3	12.1
2012-2011	15.4	15.5
2013-2012	8.9	4.6
2014-2013	13	8.4
2015-2014	15.1	12.7
2016-2015	19.9	22.9
2017-2016	13.1	14.4
2018-2017	7.8	7.1

წყარო : საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ავტორის გამოთვლები.

მოცემულ დიაგრამაზე ნათლად ჩანს განათლების სახელმწიფო დაფინანსების მატების ტემპები. როგორც ვხედავთ, მატების ტემპი ნაერთი ბიუჯეტისთვის მაქსიმალური იყო 2008 წელს, სახელმწიფოსთვის კი - 2016 წელს. რაც შეეხება ყველაზე დაბალ მაჩვენებელს, როგორც ნაერთი ასევე სახელმწიფო ბიუჯეტისთვის დაფიქსირდა 2018 წელს 2017 წელთან შედარებით.

დიაგრამა 2.2.4 ზრდის ტემპი განათლების დაფინანსებისთვის სახელმწიფო და ნაერთ ბიუჯეტებში (2006-2018)



რაც შეეხება საშუალო წლიურ ზრდის ტემპს, ნაერთი ბიუჯეტისთვის $K=1.12$, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტისთვის $K= 1.11$; ე.ი. საშუალოდ წლიურად განათლებაზე ხარჯები უფრო მეტად ნაერთი ბიუჯეტისთვის იზრდებოდა - 12 %-ით, ოდნავ ჩამორჩებოდა სახელმწიფო ბიუჯეტი-11 %-ით.

საშუალო აბსოლუტური მატება განათლების დაფინანსებისთვის შეადგენს :


$$1) \Delta = \frac{1156.6}{12} = 96,4; \text{ (ნაერთი ბიუჯეტში)}$$

$$2) \Delta = \frac{907.5}{12} = 75.6 \text{ (სახელმწიფო ბიუჯეტში)}$$

რაც ნიშნავს, რომ საშუალოდ ყოველწლიურად განათლებაზე ხარჯები ნაერთი ბიუჯეტიდან 96,4 ლარით იზრდება, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან 75.6 ლარით.

დიაგრამაზე ასახულია განათლებაზე გაწეული სახელმწიფო ხარჯები ერთ სულზე , რაც გაანგარიშებულ იქნა წლის განმავლობაში განათლებაზე გაწეული სახელმწიფო ხარჯების შეფარდებით მოსახლეობის რაოდენობასთან. როგორც ვხედავთ 2006 წელს ეს მაჩვენებელი 106.4 ლარი იყო და ის 2018 წლისთვის დაახლოებით 4-ჯერ გაიზარდა და 421 ლარი შეადგინა.

დიაგრამა 2.2.5 განათლებაზე გაწეული სახელმწიფო ხარჯები ერთ სულ მოსახლეზე (2006-2018)



წყარო : საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.საქსტატი. ავტორის გამოთვლები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია მონაცემები განათლებაზე სახელმწიფო ხარჯების და მთლიანი ხარჯების შესახებ და მათზე დაყრდნობით გაანგარიშებულია განათლებაზე სახელმწიფო დაფინანსების წილი მთლიან ხარჯებში პროცენტებში:

ცხრილი 2.2.5 განათლებაზე ხარჯების წილი მთლიან საბიუჯეტო ხარჯებში (2006-2018)


წელი	განათლებაზე სახელმწიფო ხარჯები, მლნ ლარი	მთლიანი საბიუჯეტო ხარჯები, ლარი	მლნ	განათლების მთლიან ხარჯებში, %	წილი საბიუჯეტო ხარჯებში, %

2006	348.4	3542.51	9.8
2007	384	5007.4	7.7
2008	420.5	6448.2	6.5
2009	459.6	6274.3	7.3
2010	504.1	6486.7	7.8
2011	564.9	6965.9	8.1
2012	652.5	7369.8	8.9
2013	682.6	7313.2	9.3
2014	739.7	8177.9	9.0
2015	833.9	8838.2	9.4
2016	1024.7	9404.2	10.9
2017	1172.5	10343.9	11.3
2018	1255.9	11455.9	11.0

წყარო : საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ავტორის გამოთვლები.

როგორც დიაგრამიდან ჩანს განათლების წილი მთლიან სახელმწიფო ხარჯებში ზრდადი დინამიკით ხასიათდება, მიუხედავად იმისა, რომ დაფიქსირდა კლება 2008 წელს 6.5 %-დან 7.8 %-მდე, რაც არის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მოცემულ 12 წლიან პერიოდში. ასევე მცირეოდენი კლება 0.2 %-ის ოდენობით შეინიშნება 2018 წელს 2017 წელთან შედარებით, მაშინ როცა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება 2017 წელს 11.3 %-ის ოდენობით.

დიაგრამა 2.2.6 განათლებაზე ხარჯების წილი მთლიან საბიუჯეტო ხარჯებში



ცხრილი ასახავს 2006-2018 წლებში განათლებაზე სახელმწიფო ხარჯებს, მთლიან შიდა პროდუქტს მიმდინარე ფასებში (წინასწარი მონაცემები) და მათ საფუძველზე გაანგარიშებულია სახელმწიფო ხარჯები მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით პროცენტებში.

ცხრილი 2.2.6 განათლებაზე სახელმწიფო ხარჯები მშპ-თან მიმართებით (2006-2018)


წელი	განათლებაზე სახელმწიფო ხარჯები	მშპ მიმდინარე ფასებში, მლნ ლარი	განათლებაზე სახელმწიფო დანახარჯები მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით, %
2006	348.4	13789.9	2.5
2007	384	16993.8	2.3
2008	420.5	19074.9	2.2
2009	459.6	17986	2.6
2010	504.1	20743.4	2.4
2011	564.9	24344	2.3
2012	652.5	26167.3	2.5
2013	682.6	26847.4	2.5
2014	739.7	29150.5	2.5
2015	833.9	31755.6	2.6
2016	1024.7	34028.5	3.0
2017	1172.5	37846.6	3.1

2018	1255.9	41077.5	3.1
------	--------	---------	-----

წყარო : საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქსტატი. ავტორის გამოთვლები

როგორც დიაგრამიდან ჩანს მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით განათლებაზე სახელმწიფო დანახარჯების წილი 2018 წელს 2006 წელთან შედარებით 2.5 %-დან 3.1 %-მდე გაზრდილია. თუმცა ამ პერიოდის განმავლობაში ფიქსირდებოდა კლების შემთხვევებიც, 2007-2008 წლებში 2.3 % და 2.2 % შესაბამისად ,ასევე 2009-2011 წლებში, რაც 2012 წლიდან ისევ აღმავალი ტრენდით შეიცვალა.

დიაგრამა 2.2.7 განათლებაზე სახელმწიფო ხარჯები მშპ-თან მიმართებით (2006-2018)



საქართველოს განათლების სისტემა სკოლამდელ, ზოგადი და უმაღლესი განათლების საფეხურებს მოიცავს, აგრეთვე პროფესიული განათლების და ტრენინგების კომპონენტს. ვინაიდან სკოლამდელი განათლება ძირითადად ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებიდან ფინანსდება , ხოლო ჩვენი კვლევის ძირითადი ობიექტი სახელმწიფო ბიუჯეტია, განათლების დაფინანსების სტრუქტურული ანალიზისას მას არ განვიხილავთ.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ასახულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში განათლების მუხლს მიკუთვნებულ ქვეპროგრამებზე განაწილებული თანხები :

ცხრილი 2.2.7 განათლების დაფინანსების სტრუქტურა ფუნქციონალური ნიშნით

წელი	ზოგადი განათლება	პროფესიული განათლება	უმაღლესი განათლება	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში
2006	74.5	2.9	11.3	3.2	3.3
2007	76.5	4.0	12.4	3.3	3.7
2008	75.0	3.2	12.5	4.4	5.0
2009	72.0	2.5	14.1	6.4	4.9
2010	72.9	2.1	12.8	7.2	5.0
2011	69.4	1.6	12.1	6.4	10.5
2012	69.2	1.4	12.2	2.7	14.4
2013	73.7	1.4	11.5	2.8	11.1
2014	70.5	2.0	11.9	2.9	12.7
2015	57.1	2.7	15.9	11.8	12.5
2016	51.1	2.6	13.6	7.4	18.9
2017	50.1	3.1	12.0	6.5	22.5
2018	48.3	3.0	14.0	7.9	21.0

წყარო : საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.


დიაგრამიდან ჩანს , რომ განათლების დარგის დაფინანსებაში ყველაზე დიდი ადგილი ზოგადი განათლების სექტორს უჭირავს,რომელიც ვაუჭერულ დაფინანსებას ეყრდნობა. საქართველოში ვაუჭერული დაფინანსების სისტემა 2005 წლიდან ამოქმედდა და ფართო საგანმანათლებლო რეფორმის ნაწილს წარმოადგენდა. ვაუჭერული დაფინანსების სხვადასხვა მოდელიდან არჩეულ იქნა „ უნივერსალური” დაფინანსების მოდელი, რომელიც განურჩევლად ყველა მოსაწავლის დაფინანსებას გულისხმობდა, იმის მიუხედავად საჯარო სკოლაში სწავლობდა ის თუ კერძოში. დაფინანსების ფორმულა 2005

წელს შემუშავდა მსოფლიო ბანკის პროექტის „ილია ჭავჭავაძის“ ფარგლებში - და მისი ფუნქციონირება 2006 წლის იანვრიდან დაიწყო.¹³

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი განათლება მთლიანად განათლების დაფინანსებაში პირველ ადგილს არ თმობს მოცემულ საანგარიშო პერიოდში შეინიშნება მისი ხვედრითი წილის მკვეთრი შემცირება 2006 წელს 74.5 %-დან 2018 წელს 48.3 %-მდე. პროფესიულ განათლებაზე მიმართული სახსრები ნომინალურ გამოსახულებაში მართალია იზრდება, მაგრამ მის ხვედრით წილზე ეს მცირედით აისახება. მაქსიმალურ მაჩვენებელს 3 %-ის ოდენობით 2017 წელს მიაღწია , ხოლო მინიმალური 2013-2014 წლებში დაფიქსირდა 1.4 %-ის ოდენობით. რაც შეეხება უმაღლეს განათლებას, მის დინამიკაში ერთი რომელიმე მიმართულებით ცვლილების მკვეთრად გამოხატული ტენდენცია არ შეინიშნება და ხასიათდება რყევებით. უმაღლესი განათლების დაფინანსების მაქსიმალური ხვედრითი წილი 2015 წელს დაფიქსირდა 15.4 %-ის ოდენობით, მინიმალური კი 2013 წელს - 11.5 %.

დიაგრამა 2.2.8 განათლების დაფინანსების სტრუქტურა ფუნქციონალური ნიშნით

¹³ ზოგადი განათლების ვაუჩერული დაფინანსების ეფექტურობის კვლევა თანასწორობის კონტექსტში, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი, თბ., 2014



წყარო : საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ავტორის გამოთვლები

უშუალოდ უახლეს მონაცემებს რაც შეეხება ,2018 წელს ქვეყნის მასშტაბით არსებული 2.0 ათასზე მეტი საჯარო და 220 კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დასაფინანსებლად მიიძღრთა 596.1 მლნ ლარი; უზრუნველყოფილი იქნა 1.2 ათასზე მეტი საჯარო სკოლის 70.4 ათასამდე მოსწავლის უფასო ტრანსპორტირება სკოლაში, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ დასახლებულ პუნქტში, სადაც არ ფუნქციონირებს სკოლა და სკოლამდე მისასვლელი მანძილი შორია. ამ მიზნით მიიძღრთა 22.3 მლნ ლარი. საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მიიძღრთა 101.3 მლნ ლარი, ხოლო ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს პროექტის ფარგლებში - 57.6 მლნ ლარი.¹⁴

¹⁴ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

2.2 ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსების დონის, დინამიკის და სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზი

ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ფასეულობა და პრიორიტეტი ადამიანის ჯანმრთელობაა. ჯანმრთელობის მდგომარეობაზე კი დიდ გავლენას ახდენს სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვის სფეროში ნაკისრი ვალდებულებები. სახელმწიფოს გადაწყვეტილებებზე კი მოქმედებს არამარტო ფასეულობები არამედ ქვეყნის პოლიტიკური ნება, საბიუჯეტო შესაძლებლობები და ეკონომიკური განვითარების დონეც. თუმცა, ზოგი სახელმწიფო ამ სფეროს ეკონომიკურად არაეფექტიანად მიიჩნევს და პრიორიტეტების სათავეში არ აყენებს. არსებობს ქვეყნები, სადაც მშპ-ს ზრდასთან ერთად სახელმწიფოს როლი ჯანდაცვის სისტემის დაფინანსებაში იზრდება სოციალური დაზღვევის სისტემების ან ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების საშუალებით. კვლევებით დასტურდება, რომ რაც უფრო მაღალია ჯანდაცვაზე დანახარჯები მით უფრო ხელმისაწვდომია სამედიცინო დახმარება და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაც ზოგადად მაღალია. ამ უკანასკნელში იგულისხმება როგორც სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდა, ავადობის და დაავადებებისაგან სიკვდილიანობის შემცირება და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება. იმ ქვეყნებში, რომლებიც ჯანდაცვაზე მაღალი სახელმწიფო დანახარჯებით არ გამოირჩევა, ავადობის დონე უფრო მაღალია. აღსანიშნავია, რომ ჯანდაცვის დაფინანსების პოლიტიკის უმთავრესი ამოცანა არა დაფინანსების განუხრელი ზრდა არამედ არსებული რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენებაა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით, ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების წილი მთლიან სახელმწიფო დანახარჯებში 15 % მაინც უნდა იყოს. საქართველოში ჯანდაცვაზე სახელმწიფო ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად მისი წილი სახელმწიფო ბიუჯეტთან მიმართებაში მაინც დაბალია.

საქართველოში ბოლო ათწლეულში ჯანდაცვაზე დანახარჯების ზრდის ტენდენცია შეიმჩნევა, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ეკონომიკური განვითარების მქონე ქვეყანას არ შეუძლია ჯანდაცვაზე დიდი სახელმწიფო დანახარჯები ჰქონდეს. თუმცა,

საქართველო ჯერ ისევ ჩამორჩება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებს და ბევრი დაბალშემოსავლიანი ქვეყნის მაჩვენებლებსაც.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას შემუშავებული აქვს ინდიკატორების სისტემა, რომლებიც როგორც განვითარებული ასევე განვითარებადი ქვეყნების ჯანდაცვის დაფინანსების სისტემების ეფექტიანობის შესაფასებლად გამოიყენება, მათ შორის :

- 1.ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების ხვერდითი წილი სახელმწიფოს მთლიან დანახარჯებში
- 2.ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების წილი ჯანდაცვის მთლიან დანახარჯებში
- 3.ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯები მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით
- 4.კერძო ხარჯები ჯანდაცვაზე იგივე შინამეურნეობების ჯიბიდან გადახდები

თითოეული ინდიკატორი თავის როლს ასრულებს ჯანდაცვის დაფინანსების ეფექტიანობის შეფასებისას. ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების წილი გვიჩვენებს სახელმწიფოს დამოკიდებულებას ჯანდაცვის სექტორის მიმართ. თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იგი ჯანდაცვის სფეროს დაფინანსებას სხვა სექტორებთან შედარებით. ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების წილი ჯანდაცვის მთლიან დანახარჯებში კარგი ინდიკატორია იმის შესაფასებლად, თუ რამდენად იღებს საკუთარ თავზე სახელმწიფო ამ სექტორის უზრუნველყოფას და შესაბამისად კერძო ხარჯების წილი ჯანდაცვის დაფინანსებიდან შინამეურნეობების მიერ ფინანსური ვალდებულებების განაწილების პროპორციებს ასახავს.

ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშების მომზადების მეთოდოლოგია მოწონებულია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკის და შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის ექსპერტების მიერ და წარმოადგენს მტკიცებულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. ჯანმრთელობის ეროვნული ანგარიშები წარმოადგენს სტანდარტული, ორგანოზომილებიანი ცხრილების ერთობლიობას. იგი განსაზღვრავს ჯანდაცვის სისტემაში ფინანსური ნაკადების მოძრაობას და ქვეყანაში რა

წყაროებიდან ხდება თანხების მობილიზება, სად ხდება მათი აკუმულირება, ვინ განკარგავს აკუმულირებულ თანხებს, რა თანხები იხარჯება სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებზე, როგორ ხდება ფინანსური სახსრების განაწილება მომსახურების სახეების მიხედვით, მოსახლეობის რომელი ჯგუფები იღებს სარგებელს ჯანდაცვაზე დანახარჯების შედეგად. საქართველოში ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშების დანერგვისა და ინსტიტუციონალიზაციის პროცესი 2003 წლიდან დაიწყო. ხოლო 2010 წელს განხორციელდა ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშების ფორმალიზაციის პროცესი.¹⁵

ცხრილი 2.3.1 ჯანმრთელობის დაცვაზე დანახარჯები სახელმწიფო და ნაერთ ბიუჯეტებში (2006-2018)

წელი	ჯანმრთელობის დაცვაზე გაწეული ხარჯები ნაერთ ბიუჯეტებში, მლნ ლარი	ჯანმრთელობის დაცვაზე გაწეული ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტში, მლნ ლარი
2006	225.8	205.5
2007	256.3	240.6
2008	313.1	283.9
2009	363.8	331.6
2010	454.8	415
2011	398.8	362.5
2012	416.1	373.8
2013	524.7	481.3
2014	694	652.9
2015	905.9	855.1
2016	1046	982.5
2017	1136.3	1066.3
2018	1141.6	1218


წყარო : საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

დიაგრამა 2.31 გვიჩვენებს, რომ ნაერთ და სახელმწიფო ბიუჯეტებში ჯანდაცვის დაფინანსებაზე თანხები ძირითადად ზრდის ტენდენციით ხასიათდება და მხოლოდ მცირედით განსხვავდება ერთმანეთისგან, რაც ჯანდაცვის დაფინანსებაში ადგილობრივი

¹⁵ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო,

თვითმმართველობების მცირე როლზე მიუთითებს. ორივე ბიუჯეტისთვის მინიმალური დონე 2006 წელს, ხოლო მაქსიმალური 2018 წელს ფიქსირდება.

დიაგრამა 2.3.1 ჯანდაცვაზე დანახარჯები სახელმწიფო და ნაერთ ბიუჯეტებში



წყარო : საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

გავიანგარიშოთ ჯანმრთელობის დაცვაზე გამოყოფილი სახელმწიფო ფინანსების საშუალო დონე მოცემული 13 წლის განმავლობაში, საშუალო არითმეტიკულის ფორმულით, როგორც სახელმწიფო ასევე ნაერთ ბიუჯეტში:

- 1) $\bar{x}_{საშ} = 574.5$ (სახელმწიფო ბიუჯეტისთვის)
- 2) $\bar{x}_{საშ} = 605.9$ (ნაერთი ბიუჯეტისთვის)

რაც ნიშნავს, რომ მოცემული წლების განმავლობაში საშუალოდ ჯანდაცვა სახელმწიფო ბიუჯეტიდან 574.5 მილიონი ლარით ფინანსდებოდა, მთლიანად ნაერთ ბიუჯეტში კი განათლებაზე საშუალოდ 605.9 მილიონი ლარი იყო გამოყოფილი.

მონაცემების მიხედვით გავიანგარიშოთ აბსოლუტური მატება, ყოველი წლისათვის:


ცხრილი 2.3.2 აბსოლუტური მატება ჯანდაცვის დაფინანსებისთვის სახელმწიფო და ნაერთ ბიუჯეტებში (2006-2018)

წლები	აბსოლუტური მატება (ჯაჭვური) ნაერთ ბიუჯეტში ჯანდაცვის დაფინანსებაზე გამოყოფილი ხარჯებისთვის	აბსოლუტური (ჯაჭვური) ბიუჯეტში დაფინანსებაზე ხარჯებისთვის მატება სახელმწიფო ჯანდაცვის გამოყოფილი
2007-2006	30.5	35.1
2008-2007	56.8	43.3
2009-2008	50.7	47.7
2010-2009	91	83.4
2011-2010	-56	-52.5
2012-2011	17.3	11.3
2013-2012	108.6	107.5
2014-2013	169.3	171.6
2015-2014	211.9	202.2
2016-2015	140.1	127.4
2017-2016	90.3	83.8
2018-2017	81.7	75.3

წყარო : საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ავტორის გამოთვლები

დიაგრამ 2.3.2 გვიჩვენებს, რომ 2011 წელს დაფიქსირდა კლება ჯანდაცვის დაფინანსების მხრივ, როგორც სახელმწიფო ასევე ნაერთ ბიუჯეტში, რის შემდეგაც 2014 წლამდე ისევ ზრდადი ტემპით გამოირჩეოდა. 2015 წლიდან კი მართალია ნომინალურ გამოსახულებაში ჯანდაცვაზე დანახარჯები იზრდებოდა, მაგრამ წინა წლებთან შედარებით გაცილებით უფრო ნაკლებად.

დიაგრამა 2.3.2 აბსოლუტური მატების დინამიკა ჯანდაცვის დაფინანსებისთვის სახელმწიფო და ნაერთ ბიუჯეტებში



წყარო : საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ავტორის გამოთვლები

გავიანგარიშოთ საშუალო აბსოლუტური მატება ორივე ბიუჯეტის მიხედვით :

$$1) \Delta = \frac{992.2}{12} = 82.7; \text{ (წაერთი ბიუჯეტისთვის)}$$

$$2) \Delta = \frac{936.1}{12} = 78 \text{ (სახელმწიფო ბიუჯეტისთვის)}$$

გავიანგარიშოთ ზრდის ტემპი ჯაჭვური მეთოდით:


ცხრილი . 2.3.3 ზრდის ტემპი ჯანდაცვის დაფინანსებისთვის სახელმწიფო და წაერთ ბიუჯეტებში

წლები	ზრდის ტემპი ჯაჭვური (ნაერთ ბიუჯეტში ჯანდაცვის დაფინანსება გამოყოფილი თანხებისთვის)	ზრდის ტემპი ჯაჭვური (სახელმწიფო ბიუჯეტში ჯანდაცვის დაფინანსება გამოყოფილი თანხებისთვის)
2007-2006	113.5	117.1
2008-2007	122.2	118
2009-2008	116.2	116.8
2010-2009	125	125.2
2011-2010	87.7	87.3
2012-2011	104.3	103.1
2013-2012	126.1	128.8
2014-2013	132.3	135.7
2015-2014	130.5	131
2016-2015	115.5	114.9
2017-2016	108.6	108.5
2018-2017	107.2	107.1

წყარო : საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ავტორის გამოთვლები.

ვინაიდან, ზრდის ტემპი და მატების ტემპი მსგავს ტენდენციას ამჟღავნებს, დიაგრამის სახით ვაჩვენოთ მატების ტემპი 2006-2018 წლებში. დავინახავთ, რომ ნაერთი ბიუჯეტისთვის ის ყველაზე მაღალი იყო 2014 წელს 2013 წელთან შედარებით, ასევე საკმაოდ მაღალი იყო 2015 წელს 2014 წელთან შედარებით, ხოლო ზრდის ყველაზე დაბალი ტემპი, როგორც ნაერთი ასევე სახელმწიფო ბიუჯეტისთვის შეინიშნება 2011 წელს 2010 წელთან შედარებით, როცა დაფიქსირდა არა მატება არამედ კლება.

ცხრილი 2.3.4 მატების ტემპი ჯანდაცვის დაფინანსებისთვის სახელმწიფო და ნაერთ ბიუჯეტებში



საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია არა მარტო სახელმწიფო არამედ მთლიან და კერძო სექტორის დანახარჯებზე შესაძლებლობას გვაძლევს გავიანგარიშოთ ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშები და უფრო ნათელი წარმოდგენა შევიქმნათ ჯანდაცვის სფეროში დახარჯულ თანხებზე და მათ წყაროებზე.

2.3.4. ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯების სტრუქტურა (2006-2017)


წელი	მთლიანი დანახარჯები ჯანდაცვაზე, მლნ. ლარი	სახელმწიფო სექტორის დანახარჯები ჯანდაცვაზე, მლნ. ლარი	კერძო სექტორის ხარჯები ჯანდაცვაზე, მლნ. ლარი	სხვა დანარჩენი (საერთაშორისო დახმარებები და გრანტები), მლნ.ლარი
2006	1164	248.6	855.2	60.2
2007	1403.9	248.9	1027.8	127.2
2008	1722.9	272.1	1281.7	169.1
2009	1846.2	246.5	1494.8	104.9
2010	2096.4	295.3	1741.8	59.3

2011	2292.3	287.9	1941.8	62.6
2012	2220.2	270.2	1891.4	58.6
2013	1973.1	292	1621.4	59.7
2014	2460.1	601.1	1813.8	45.2
2015	2518.6	880.3	1592.5	45.8
2016	2864.9	1058.5	1759.9	46.5
2017	2878.6	1075.4	1754.7	47.5

წყარო : საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და დაცვის სამინისტრო

დიაგრამა 2.3.5 გვიჩვენებს, რომ მთლიანი დანახარჯები ჯანდაცვაზე, რომელიც როგორც კერძო ასევე საერთაშორისო სექტორის დანახარჯებს მოიცავს ჯანდაცვაზე სახელმწიფო ხარჯებთან ერთად მეტწილად იზრდებოდა. გამონაკლისია 2013 წელი, როდესაც 2012 წელთან შედარებით 11 %-იანი შემცირება დაფიქსირდა. მთლიანი დანახარჯების მხრივ ყველაზე დაბალი დონე 2005 წელს დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე მაღალი 2017 წელს.


დიაგრამა 2.3.5 ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯების დინამიკა (2006-2017)



ჯანდაცვაზე დაფინანსების სიდიდის დასადგენად უპრიანია არამხოლოდ ხარჯების აბსოლუტურ სიდიდეში დაკვირვება არამედ მისი შეფარდება მთლიან შიდა

პროდუქტთან. როგორც დიაგრამიდან ჩანს ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების წილი მშპ-თან მიმართებით 1.5 %-სა და 2.8 %-ს შორის მერყეობს და ხასიათდება, როგორც აღმავალი ასევე დაღმავალი ტრენდით.


დიაგრამა 2.3.6 ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯები მშპ-თან მიმართებით



წყარო : საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.საქსტატი. ავტორის გამოთვლები

საქართველოში ჯანდაცვის სფეროში დაფინანსების უდიდესი ნაწილი კერძო სექტორზე მოდის მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში სახელმწიფოს მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსება მნიშვნელოვნად გაიზარდა. ეს აისახა აისახა კერძო სექტორის წილის შემცირებაში დაახლოებით 10%-ით 2006 წელთან შედარებით და 2017 წელს 61 % შეადგინა.


დიაგრამა 2.3.7 ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯების სტრუქტურა დაფინანსების წყაროების მიხედვით (2005-2017)



წყარო : საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და დაცვის სამინისტრო. ავტორის გამოთვლები

როგორც დიაგრამა 2.3.8 გვიჩვენებს მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯები სულ უფრო იზრდება, ხოლო კერძო სექტორის წილი პირიქით იზრდება, ეს უკანასკნელი მაინც მაღალია და 2017 წლისთვის 61 %-მდე შემცირდა.


დიაგრამა 2.3.8 ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების ტენდენციები



წყარო : საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და დაცვის სამინისტრო. ავტორის გამოთვლები

ჯანდაცვაზე დანახარჯები ერთ სულზე ლოგიკურად ყველაზე მაღალია კერძო სექტორისთვის და მან 2018 წელს 470.9 ლარი შეადგინა, ხოლო იმავე წელს სახელმწიფო სექტორმა ერთ სულზე 288.6 ლარი დახარჯა. საერთაშორისო დონორებზე კი 12,7 ლარი მოდის.

დიაგრამა 2.3.8. საქართველოში ჯანდაცვაზე დანახარჯები ერთ სულ მოსახლეზე დაფინანსების წყაროების მიხედვით



წყარო : საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და დაცვის სამინისტრო.საქსტატი. ავტორის გამოთვლები

ჯანდაცვის სამინისტროს ეროვნული ანგარიშების მიხედვით მთლიანი დანახარჯების სტრუქტურა მლნ. ლარებში შემდეგია :

ცხრილი 2.3.5 ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯების სტრუქტურა ფუნქციონალური ნიშნით

წელი	სამკურნალო მომსახურება	რეაბილიტაციის სერვისები	დამატებითი სამედიცინო მომსახურება	სამედიცინო დანიშნულების საქონელი და მოწყობილობები	პრევენცია და საზოგადოებრივი ჯანდაცვა	ჯანდაცვის ადმინისტრირება და დაზღვევა

2006	477.1	2.5	127.6	424.8	12.9	36.7
2007	560	0.4	158.2	514.9	15.9	49.6
2008	656.2	0.7	166.8	716.8	11.1	118.4
2009	703.7	1.4	171.5	729.9	21.8	141.3
2010	752	0.8	153.4	931.8	25.9	126.9
2011	762.4	1	162.9	943.9	35.2	66.2
2012	780	1.1	199.2	899.9	47.3	169.7
2013	765.1	1.1	242.9	789.6	46.2	70.4
2014	1054.3	1.6	227.3	1055.9	52.9	67.9
2015	1227.3	2.2	211.6	954.1	55.6	67.9
2016	1485.4	2.9	207.5	1031.1	72.9	64.9
2017	1471.8	3.4	231.7	1028.3	88.6	53.9

როგორც დიაგრამიდან ჩანს მთლიანად ჯანდაცვაზე დანახარჯებში ყველაზე დიდი ადგილი სამედიცინო დანიშნულების საქონელს და მოწყობილობებს და სამკურნალო მომსახურებას უჭირავს. მაშინ როცა, ყველაზე ნაკლები ყურადღება ეთმობა პრევენციას და საზოგადოებრივ ჯანდაცვას.

დიაგრამა 2.3.8 ჯანდაცვის მთლიანი დანახარჯების სტრუქტურა ფუნქციონალური ნიშნით

ჯანდაცვის მთლიანი დანახარჯები ფუნქციის მიხედვით, 2005-2017



წყარო : საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და დაცვის სამინისტრო. ავტორის გამოთვლები

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტში ჯანდაცვის ქვეპროგრამების დაფინანსებას განსხვავებული სურათი გხვდება :


ცხრილი 2.3.9 სახელმწიფო ბიუჯეტში ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯები ფუნქციონალური ნიშნით

წელი	ამბულატორიული მომსახურება	საავადმყოფოების მომსახურება	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში
2006	26.8	61.8	79.5	27.4
2007	32.9	79	80.6	45.9
2008	37.5	98.9	54.8	91.8

2009	38.4	102.6	50.6	138.8
2010	44.4	120.8	89.4	159.1
2011	27.7	100.4	53.9	172.9
2012	30.4	116.7	36.9	184.5
2013	93.4	75.2	26.4	269.5
2014	370.4	93.5	42.5	126.5
2015	612.1	151.1	15	53.3
2016	722.2	161.4	42.2	49.6
2017	752.2	173.7	37.2	91.6
2018	804.2	174.9	48.2	82.5

წყარო : საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

დიაგრამა 2.3.10 ჯანდაცვის დაფინანსების სტრუქტურა სახელმწიფო ბიუჯეტში



წყარო : საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ავტორის გამოთვლები

დიაგრამიდან ნათლად ჩანს, რომ ბოლო ათწლეულში ჯანდაცვაზე სახელმწიფო დაფინანსებამ ძირეული სტრუქტურული ცვლილებები განიცადა. მაშინ როცა, 2006 წელს ამბულატორიულ მომსახურებაზე სახელმწიფო დანახარჯების მხოლოდ 13 % მოდიოდა,

2018 წელს ამ ქვეპროგრამაზე უკვე 70.4 % მოდის. ეს გამოწვეულია ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის შემცირებით , რაც ბიუჯეტის უფრო მიზნობრივ დაგეგვმაზე მიუთითებს.

დღესდღეობით „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის“ ფარგლებში უწყვეტად ხორციელდება მოსახლეობის, როგორც ამბულატორიული (გადაუდებელი და გეგმური), ასევე სტაციონარული (გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება; გეგმური ქირურგია, მ.შ. კარდიოქირურგიისა და ონკოლოგიური დაავადებების ქირურგია; ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა - ქიმიო/ჰორმონო და სხივური თერაპია; მშობიარობა/საკეისრო კვეთა) სამედიცინო დახმარება ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

ჯანდაცვაზე მიმართული დანახარჯების ეფექტიანობის შესადარებლად საქართველოში სასარგებლოა ჩვილთა მოკვდაობის და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებლებზე დაკვირვება. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით საქართველომ ნელი პროგრესი განიცადა. ჩვილთა მოკვდაობა 1995 წელს 1000 დაბადებულზე 41.6-დან 2015 წელს 8.6 -მდე შემცირდა. რაც შეეხება სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას 74 წელს შეადგენს და საკმაოდ ახლოა მსგავსი განვითარების მქონე ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელთან.

2.3 სოციალური დაცვის დაფინანსების დონის, დინამიკის და სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზი

სოციალური დაცვის განვითარებული სისტემა საბაზრო ეკონომიკის ევროპული მოდელის საბაზისო კომპონენტი და დამახასიათებელი თავისებურებაა. სწორედ ამ სისტემის გამართული მოქმედება განაპირობებს სოციალური დამაბულობის განმუხტვას, რომელიც დემოგრაფიული და ეკონომიკური ძვრების შედეგად მუდმივად წარმოიქმნება. ევროკავშირის ქვეყნებში ოთხი ძირითადი მოდელი დომინირებს: ანგლოსაქსური, სკანდინავიური და სამხრეთ-ევროპული. იქიდან გამომდინარე, რომ ევროკავშირის წევრმა

თითოეულმა ქვეყანამ სოციალური პოლიტიკის განვითარების თავისი გზა გაიარა, სოციალური დაცვის ეროვნულ სისტემებს შორის უფრო მეტი განსხვავებაა ვიდრე მსგავსება. რაც შეეხება საქართველოს, 2007 წლამდე სოციალური დაცვის სისტემის მიზნობრივი ორიენტაცია ზედაპირულად და არაეფექტიანად იყო განსაზღვრული. სოციალურ დაცვაზე საბიუჯეტო სახსრების განკარგვა იყო წინა წლების ტენდენციის ინერციით გაგრძელება, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ იგეგმებოდა ამ სისტემის ინსტიტუციური გარდაქმნა, ამიტომ ეს წლები შეიძლება შეფასდეს მხოლოდ როგორც გარდამავალი პერიოდი, რომელიც აერთიანებდა როგორც ძველი სისტემის ნაკლოვანებებს, ასევე ინსტიტუციური გარდაქმნების ახალ ჩანასახებს.¹⁶

ცხრილი 2.3.1 სოციალურ დაცვაზე დანახარჯები სახელმწიფო და ნაერთ ბიუჯეტებში (2006-2018)


წელი	სოციალური დაცვის დაფინანსებაზე გაწეული ხარჯები ნაერთ ბიუჯეტში	სოციალური დაცვის დაფინანსებაზე გაწეული ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტში
2006	690.1	622.7
2007	640.2	777.6
2008	323	1106.4
2009	459.8	1249.6
2010	1421.4	1278.2
2011	1551.8	1447.9
2012	1732.3	1575.5
2013	1999.2	1816.8
2014	2384.8	2174.9
2015	2467.3	2217.6
2016	2654.3	2410.2
2017	2761.8	2545.4
2018	2917	2699

წყარო : საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

¹⁶ Tan, Congyan; Dolidze, Mariam. Georgia - Public expenditure review : building a sustainable future (English). World Bank Group. Washington. 2017

დიაგრამა 2.3.1 გვიჩვენებს, რომ მოცემულ საანგარიშო პერიოდში მინიმალური დანახარჯები სოციალურ დაცვაზე 2008 წელს იქნა გაწეული, ხოლო მაქსიმალური 2018 წელს და ზოგადად ზრდადი ტენდენციით ხასიათდებოდა.

დიაგრამა 2.3.1 სოციალურ დაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების დინამიკა



გავიანგარიშოთ სოციალურ დაცვაზე გამოყოფილი სახელმწიფო ფინანსების საშუალო დონე მოცემული 13 წლის გამავლობაში, როგორც სახელმწიფო ასევე ნაერთ ბიუჯეტში:

- 1) $\bar{y}_{\text{საშ}}=1693$ მლნ. ლარი (ნაერთი ბიუჯეტისთვის)
- 2) $\bar{y}_{\text{საშ}}=1686$ მლნ. ლარი (სახელმწიფო ბიუჯეტისთვის)

რაც ნიშნავს, რომ მოცემული წლების განმავლობაში საშუალოდ სოციალური დაცვა სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1686 მილიონი ლარით ფინანსდებოდა, მთლიანად ნაერთ ბიუჯეტებში კი სოციალურ დაცვაზე საშუალოდ 1693 მილიონი ლარი იხარჯებოდა.

არსებული მონაცემების მიხედვით გავიანგარიშოთ აბსოლუტური მატებაც, ყოველი წლისათვის:


ცხრილი 2.3.2 აბსოლუტური მატება სოციალურ დაცვაზე დანახარჯებისთვის სახელმწიფო და ნაერთ ბიუჯეტებში

	აბსოლუტური (ჯაჭვური) მატება ნაერთი ბიუჯეტისთვის, მლნ. ლარი	აბსოლუტური (ჯაჭვური) მატება სახელმწიფო ბიუჯეტისთვის, მლნ. ლარი
2007-2006	-49.9	154.9
2008-2007	-317.2	328.8
2009-2008	136.8	143.2
2010-2009	961.6	28.6
2011-2010	130.4	169.7
2012-2011	180.5	127.6
2013-2012	266.9	241.3
2014-2013	385.6	358.1
2015-2014	82.5	42.7
2016-2015	187	192.6
2017-2016	107.5	135.2
2018-2017	153.6	155.2

წყარო : საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ავტორის გამოთვლები

როგორც დიაგრამიდან ჩანს, სოციალურ დაცვის დაფინანსების მიმართულებით მატება ნომინალურ გამოსახულებაში არ ხასიათდებოდა განუხრელი ზრდის ან კლების ტენდენციით. მაქსიმალური აბსოლუტური მატება დაფიქსირდა 2010 წელს 2009 წელთან შედარებით, მინიმალური მაჩვენებელი კი 2007 წელს 2006 წელთან შედარებით, როცა შეინიშნა კლება 50 მილიონ ლარამდე.

დიაგრამა 2.4.2 აბსოლუტური მატება სოციალურ დაცვაზე დანახარჯებისთვის სახელმწიფო და ნაერთ ბიუჯეტებში




დიაგრამა 2.3.2 ზრდის და მატების ტემპები სოციალურ დაცვაზე დანახარჯებისთვის სახელმწიფო და ნაერთ ბიუჯეტებში

წლები	ზრდის ტემპი ნაერთ ბიუჯეტში სოციალური დაცვის დაფინანსებისთვის, %	ზრდის ტემპი სახელმწიფო ბიუჯეტში სოციალური დაცვის დაფინანსებისთვის, %	მატების ტემპი ნაერთ ბიუჯეტში სოციალური დაცვის დაფინანსებისთვის, %	მატების ტემპი სახელმწიფო ბიუჯეტში სოციალური დაცვის დაფინანსებისთვის, %
2007-2006	92.8	124.9	-7.2	24.9
2008-2007	50.5	142.3	-49.5	42.3
2009-2008	142.4	112.9	42.4	12.9
2010-2009	309.1	102.3	209.1	2.3
2011-2010	109.2	113.3	9.2	13.3
2012-	111.6	108.8	11.6	8.8

2011				
2013-2012	115.4	115.3	15.4	15.3
2014-2013	119.3	119.7	19.3	19.7
2015-2014	103.5	102	3.5	2
2016-2015	107.6	108.7	7.6	8.7
2017-2016	104.1	105.6	4.1	5.6
2018-2017	105.6	106	5.6	6

წყარო : საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ავტორის გამოთვლები


დიაგრამა 2.4.3 მატების ტემპი სოციალურ დაცვაზე დანახარჯებისთვის სახელმწიფო და ნაერთ ბიუჯეტებში



რაც შეეხება სახელმწიფო დანახარჯებს სოციალურ დაცვაზე მშპ-თან მიმართებით, ის ყველაზე მაღალია ყველა სხვა საბიუჯეტო ფუნქციონალურ მუხლთან შედარებით. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2006 წელს 4.5 % -ის ოდენობით, ხოლო მაქსიმალური - 2015 წელს 7,5 %.


დიაგრამა 2.3.4 სოციალურ დაცვაზე სახელმწიფო დანახარჯები მშპ-თან მიმართებით, (2006-2018)

სოციალურ დაცვაზე სახელმწიფო დანახარჯები მშპ-თან მიმართებით, 2006- 2018



2006-2008 წლებში სოციალურ დაცვაზე სახელმწიფო დაფინანსება ერთ სულ მოსახლეზე მცირდებოდა. 2010 წლიდან კი ამ მიმართულებით სახელმწიფო დაფინანსება მნიშვნელოვნად გაიზარდა და მას შემდეგ კლება არ შეინიშნებოდა.

დიაგრამა 2.3.5 სოციალურ დაცვაზე გაწეული დანახარჯები ერთ სულ მოსახლეზე (2006-2018)



წყარო : საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. საქსტატი. ავტორის გამოთვლები

რაც შეეხება სოციალური დაცვის დაფინანსების სტრუქტურას, სახელმწიფო ბიუჯეტში ამ მიმართულებით გაწეული ხარჯები ფუნქციონალური ნიშნით შემდეგნაირად ნაწილდებოდა :

ცხრილი 2.3.4 სოციალური დაცვაზე დანახარჯების სტრუქტურა ფუნქციონალური ნიშნით


წელი	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	საცხოვრებელი უზრუნველყოფა	სოციალური გაუცხოების საკატეგორიები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში
2006	8.7	443.1	52.7	1.3	53.3	45.1
2007	9.7	498.1	170.7	1	60.3	37.7
2008	7.2	774.8	177.3	36.9	81.1	29.1
2009	9.5	867.6	204.1	19.9	93.5	54.9
2010	19.7	897.6	191.7	8.7	128.8	31.6
2011	10.2	987.8	240.7	10.7	99.7	98.2

2012	5.2	1076.9	295.1	6.5	77.5	156.3
2013	4.3	1149.1	500.6	7.5	118.5	36.8
2014	5.3	1335.1	639.5	10	146.6	38.3
2015	4.2	1399.2	630.1	10.9	126.7	46.4
2016	6.4	1579.8	658.5	11.5	107.4	46.5
2017	5.9	1714.2	659.9	10.9	100.3	54.1
2018	6.9	1746.2	655.4	11.5	134.8	144.1

წყარო : საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დიაგრამა 2.3.5- დან ნათლად ჩანს , რომ სოციალურ დაცვაზე დანახარჯების უდიდესი ნაწილი პენსიების გაცემის უზრუნველყოფას ემსახურება. უნდა აღინიშნოს, რომ პენსიებზე დახარჯული თანხების ნომინალურ გამოსახულებაში ზრდის მიუხედავად, რაც პენსიების ზრდითა და საპენსიო ასაკის მოსახლეობის მატებითაა გამოწვეული, მისი ხვედრითი წილი სოციალურ დაცვაში თანდათანობით მცირდება.

დიაგრამა 2.3.5 სოციალურ დაცვაზე დანახარჯების სტრუქტურა ფუნქციონალური ნიშნით (2006-2018)



საპენსიო უზრუნველყოფის მიმართულებით, სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაფინანსების მიზნით ხორციელდება „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებულ ბენეფიციართა უზრუნველყოფა სახელმწიფო პენსიებით და სახელმწიფო კომპენსაციებით.

დღეს საქართველოში მოქმედებს სახელმწიფო გადანაწილებითი საპენსიო სისტემა, რომლის დაფინანსებაც გადასახადების გადამხდელების ხარჯზე ხდება. მიუხედავად იმისა, რომ 2004 წლიდან პენსიები დღემდე 13-ჯერ გაიზარდა, პენსია ოდნავ აღემატება საარსებო მინიმუმს და საშუალო ხელფასის 20 %-ზე ნაკლებს შეადგენს.¹⁷ საარსებო მინიმუმი შემოსავლის ის დონეა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის შენარჩუნებისთვის დოვლათისა და მომსახურების მინიმალური ოდენობით შეძენას.¹⁸ ამასთან ერთად საქართველოში მოსახლეობის დაბერების პროცესი სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. საპენსიო ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი სულ უფრო მეტად იზრდება, ხოლო შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის წილი პირიქით, მცირდება. აქედან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა კერძო საპენსიო სისტემის რაც შეიძლება სწრაფად დანერგვის საკითხი. 2019 წლის თებერვლიდან საქართველოში დაიწყო სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სისტემის ფუნქციონირება, რომელშიც ნომინალური ხელფასიდან 2 % დამსაქმებლის ჯიბიდან მიდის, 2 % ორგანიზაციის შენატანია, ხოლო დანარჩენი 2 %-ის უზრუნველყოფა სახელმწიფომ საკუთარ თავზე აიღო. 2018 წელს დაგროვებითი საპენსიო სისტემის დაფინანსებისთვის დაახლოებით 96 მილიონი ევრო გამოიყო. საქართველოში ამ სისტემის წარმატებული ფუნქციონირების შემთხვევაში დემოგრაფიული პრობლემებით გამოწვეული წნეხი გადასახადის დღევანდელ გადამხდელებზე შემცირდება, ვინაიდან ადამიანი თვითონაც გახდება საკუთარი სიბერის უზრუნველყოფაზე.

¹⁷ უროტაძე ჯ. საქართველოს საპენსიო პოლიტიკა და მსოფლიო გამოცდილება. დისერტაცია. ეკონომიკის დოქტორის კანდ., ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ., 2016

¹⁸ გელაშვილი ს., შონია ზ., ქინქლაძე რ., „სოციალური სტატისტიკა“ (ელექტრონული ვერსია). თბ., 2013

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარებების პროგრამის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით ხორციელდება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისთვის სოციალური დახმარებისა და ბავშვთა ინსტიტუციური დაწესებულებებიდან ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნებასთან დაკავშირებული რეინტეგრაციის შემწეობის გაცემა. ასევე, სოციალური პაკეტის დაფინანსება შშმ პირებისთვის, შშმ ბავშვებისთვის, მარჩენალდაკარგულებისთვის და სხვა მოწყვლადი კატეგორიებისათვის, ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობებით უზრუნველყოფა და შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე, ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ფულადი დახმარების გაცემა.

3. სოციალური სფეროების დაფინანსების შედარებითი ანალიზი ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან

3.1 განათლების დაფინანსების შედარებითი ანალიზი ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბოლო ათწლეულია საბიუჯეტო ხარჯების განუხრელი ზრდა შეინიშნება, რაც ასევე მნიშვნელოვნად აისახა სოციალური სფეროების დაფინანსებაზე, მხოლოდ ერთი ქვეყნის მაგალითზე ძნელია იმის შეფასება, თუ რამდენად მაღალია სოციალურ დარგებში დაფინანსების ზრდის ტემპები და რამდენად წინ არის საქართველო სხვა ქვეყნებთან შედარებით. საქართველოს დიდი ხანია ევროკავშირთან ინტეგრაციისკენ მიისწრაფვის, აქედან გამომდინარე საინტერესოა რამდენად განსხვავდება სოციალურ სფეროებში დაფინანსება ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან შედარებით.

ევროკავშირში სახელმწიფო ხარჯების ყველაზე დიდი ნაწილი ფუნქციონალური ნიშნით სოციალურ დაცვაზე ნაწილდება და 2017 წლისთვის მან მშპ-ის 18.8 %-ს მიაღწია. მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი დარგი ჯანდაცვაა (7 %) , რომელსაც საჯარო მომსახურება (5,8 %) , განათლება (4,6%) და ეკონომიკური საქმიანობა (4 %) მოჰყვებიან.

ლიტვა, ლატვია და ესტონეთი ისევე როგორც საქართველო პოსტსაბჭოურ წარსულს იზიარებენ , თუმცა მათ მოახერხეს ევროკავშირის 2004 წლიდან შეერთებოდნენ, ხოლო ხორვატია სულ რაღაც 2013 წლიდანაა გაერთიანების წევრი. შედარების მიზნით ქვემოთ მოყვანილია ამ ქვეყნებში განათლებაზე სახელმწიფო ხარჯები ნომინალურ გამოსახულებაში მილიონ ევროებში 2006-2017 წლებში.

ცხრილიდან 3.1 ჩანს ამ ოთხი ქვეყნიდან ნომინალურ გამოსახულებაში ყველაზე მეტს ხორვატია ხარჯავს,ყველაზე ცოტას კი ესტონეთი.ხორვატიას დროთა განმავლობაში მიუახლოვდა ლიტვა, რომელიც სტაბილურად მეორე ადგილზეა. ლატვიის დანახარჯები კი ესტონეთის მსგავსია და მხოლოდ ცოტათი უსწრებს მას.

ცხრილი 3.1.1 განათლებაზე სახელმწიფო დანახარჯების დინამიკა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში

წელი	ესტონეთი	ლიტვა	ლატვია	ხორვატია
2006	808.9	1,292.20	977.4	2,082.90
2007	959.9	1,543.00	1,260.60	2,110.30
2008	1,103.90	2,006.60	1,539.60	2,223.10
2009	1,020.20	1,949.70	1,260.40	2,202.00
2010	974.8	1,800.00	1,106.10	2,487.30
2011	1,038.00	1,900.10	1,184.80	2,155.30
2012	1,127.80	1,940.70	1,263.70	2,158.20
2013	1,137.10	1,964.10	1,310.30	2,171.30
2014	1,127.70	1,963.30	1,394.40	2,096.30
2015	1,238.50	2,024.90	1,442.50	2,155.00
2016	1,247.30	1,997.10	1,369.10	2,238.40
2017	1,371.50	2,066.60	1,555.40	2,311.20

წყარო : ევროსტატი

არსებული მდგომარეობის რეალური შეფასების მიზნით საინტერესოა ევროკავშირის ქვეყნების განათლებაზე, ჯანდაცვასა და სოციალურ დაცვაზე გაწეული ხარჯების მშპ-თან შეფარდების შედარება.

ევროკავშირში 2017 წელს განათლებაზე მშპ-თან მიმართებით ყველაზე მეტ სახელმწიფო რესურსს შვედეთი (6.8 %), დანია (6.5 %) და ბელგია (6.3 %) მიმართავდნენ.

საინტერესოა, როგორი იყო დინამიკა 2006-2017 წლებში განათლებაზე სახელმწიფო დანახარჯების ჩვენ მიერ არჩეულ ევროკავშირის წევრ ოთხ ქვეყანაში საქართველოსთან შედარებით. ცხრილი ამ ქვეყნებში მთლიანი შიდა პროდუქტის შესახებ ინფორმაციას ასახავს მილიონ ევროებში 2006-2017 წლებში.

ცხრილი 3.1.2 მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში (2006-2017)


წელი	ესტონეთი	ლიტვა	ლატვია	ხორვატია	საქართველო
2006	13522	24079	17264	40159	6168
2007	16246	29041	22679	43947	7423
2008	16517	32696	24355	48139	8699
2009	14146	26935	18749	45145	7719
2010	14717	28028	17789	45156	8779
2011	16658	31275	20202	44826	10370
2012	17935	33349	22058	43983	12334
2013	18932	34960	22829	43779	12153
2014	20061	36568	23618	43431	12428
2015	20652	37434	24320	44606	12612
2016	21683	38849	25038	46640	12989
2017	23615	42191	27033	48990	13350

წყარო : ევროსტატი

ნათლად ჩანს, მშპ-თან მიმართებით განათლებაზე ყველაზე მეტს ესტონეთი ხარჯავს, მიუხედავად იმისა, რომ ნომინალურ გამოსახულებაში ყველაზე დაბალი მაჩვენებელი სწორედ ამ ქვეყანას ჰქონდა. საქართველოსთან შედარებით ესტონეთი საშუალოდ 2 %-ზე მეტს ხარჯავს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, საქართველომ 2006 წელს 2,5 % -დან დაიწყო და

2017 წელს 3,1 %-მდე ავიდა, რაც იმას ნიშნავს რომ განსხვავება წლიდან წლამდე მცირდება.

დიაგრამა 3.1.2 განათლებაზე დანახარჯები მშპ-თან მიმართებით ევროკავშირის წევრ ქვეყნებში და საქართველოში



3.2 ჯანდაცვის დაფინანსების შედარებითი ანალიზი ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან

ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების ყველაზე მაღალი წილით ევროკავშირში 2017 წელს დანია (8.4 %) , ავსტრია (8.2 %) და საფრანგეთი (8.0 %) გამოირჩეოდნენ.

დიაგრამა 3.2.1 ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო დანახარჯები ევროკავშირის წევრ ქვეყნებში


წელი	ესტონეთი	ლატვია	ლიტვა	ხორვატია
2006	573.1	734.8	1,277.50	2,292.70
2007	706.7	914.2	1,523.70	2,545.80
2008	850.3	1,055.40	1,832.90	2,903.20
2009	784.3	860.6	1,800.40	2,800.70
2010	782.8	744.9	1,947.80	2,773.60
2011	822.8	831.4	2,077.50	2,776.50
2012	896.4	858	1,963.30	3,154.50
2013	944.1	836.4	1,970.90	2,804.80

2014	1,020.20	898.2	2,014.20	2,846.90
2015	1,123.60	915.1	2,161.30	2,917.80
2016	1,119.70	934.7	2,256.80	2,998.40
2017	1,190.50	947.7	2,385.20	3,085.40

წყარო : ევროსტატი


როგორც დიაგრამა 2.4.7 გვიჩვენებს, ნომინალურ გამოსახულებაში ჯანდაცვაზე ყველაზე მეტს ხორვატია ხარჯავს, რომელსაც ლიტვა, ესტონეთი და ლატვია მოჰყვებიან. ვინაიდან, ასეთი შედარება ნაკლებად ინფორმატიულია და არ ითვალისწინებს ქვეყნებს შორის გეოგრაფიულ, ეკონომიკურ და დემოგრაფიულ განსხვავებებს, უფრო მიზანშეწონილია მშპ-თან ხვედრითი წილების შედარება.

დიაგრამა 3.2.1 ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების დინამიკა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში



ჯანდაცვაზე სახელმწიფო ხარჯების წილით მშპ-თან მიმართებით სტაბილურად ხორვატია ლიდერობს, რომელსაც მხოლოდ 2009-2011 წლებში გადაუსწრო ლიტვამ. მიუხედავად იმისა, რომ 2005 წლის შემდეგ ეს მაჩვენებელი ზრდის მნიშვნელოვნად გაიზარდა და 2016 წელს 3.1 % -საც მიაღწია, საქართველო ამჯერადაც ჩამორჩება დანარჩენ ოთხ ქვეყანას.

დიაგრამა 3.2.2 ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯები მშპ-თან მიმართებით ევროკავშირის წევრ ქვეყნებში და საქართველოში



3.3 სოციალური დაცვის დაფინანსების შედარებითი ანალიზი ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან

სოციალური დაცვა ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანაში ბიუჯეტის ფუნქციონალურ მუხლებს შორის ყველაზე პრიორიტეტულია. ამ დარგში სახელმწიფო ხარჯების ფარდობა მშპ-თან 9,5 %-სა (ირლანდია) და 24.9 %-მდე (ფინეთი) მერყეობს. ფინეთი, საფრანგეთი, დანია, იტალია, ავსტრია და შვედეთი სოციალურ დაცვაზე მშპ-ს სულ მცირე 20 %-ს მაინც ხარჯავენ, მაშინ როცა ირლანდია, ლიტვა, მალტა, ლატვია, რუმინეთი, ჩეხეთი და ბულგარეთი იმავე მიმართულებით მშპ-ს 13 %-ზე ნაკლებს ხარჯავენ. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში საბიუჯეტო ხარჯები ფუნქციონალურ ჭრილში ევროკავშირში თანაბრად არ იცვლებოდა. ევროკავშირში 2007-2009 წლებში უმუშევრობის კომპენსაციებზე ხარჯები, რაც სოციალური დაცვის ნაწილს წარმოადგენს, 1.4 %-დან 1.8 %-მდე გაიზარდა ხოლო 2017 წელს უკვე 1.2 %-მდე შემცირდა. მთლიანად სოციალურ დაცვაზე დანახარჯები 2007 წელს 17 %-დან 2009 წელს 19.4 %-მდე გაიზარდა, ხოლო 2017 წელს 18.8 %-მდე შემცირდა. იმავე პერიოდში, სახელმწიფო დანახარჯები განათლებაზე 2007 წელს 4.9 %-დან 2009 წელს 5.2 %-მდე გაიზარდა, შემდეგ თანდათანობით შემცირდა და 2017 წელს 4.6 %-ს მიაღწია.


ცხრილში მოცემულია ესტონეთის, ლიტვის, ლატვიისა და ხორვატიის სახელმწიფო დანახარჯები სოციალურ დაცვაზე.

ცხრილი 3.3.1 სოციალურ დაცვაზე სახელმწიფო დანახარჯები ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მილიონ ევროებში

წელი	ესტონეთი	ხორვატია	ლატვია	ლიტვა
2006	1,260.80	6,172.90	1,532.10	2,352.50
2007	1,503.90	6,024.00	1,802.10	3,117.10
2008	1,896.70	6,450.80	2,208.10	3,970.30
2009	2,182.10	6,767.70	2,624.60	4,420.10
2010	2,096.60	6,718.70	2,527.60	3,964.80
2011	2,101.30	6,857.10	2,472.70	3,886.80
2012	2,205.10	6,662.80	2,509.90	3,988.20
2013	2,253.90	6,670.00	2,633.50	3,970.90
2014	2,361.60	6,778.10	2,700.90	4,183.80
2015	2,633.50	7,004.10	2,894.20	4,155.30
2016	2,855.40	6,818.80	2,996.50	4,344.30
2017	3,079.80	7,023.60	3,151.20	4,737.00

წყარო: ევროსტატი

დიაგრამა 3.3.1 სოციალურ დაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების დინამიკა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში (2006-2017)




ცხრილი 3.3.2 სოციალურ დაცვაზე დანახარჯები მშპ-თან მიმართებით ევროკავშირის წევრ ქვეყნებში და საქართველოში

წელი	ესტონეთი	ლიტვა	ლატვია	ხორვატია	საქართველო
2006	9.3	9.8	8.9	15.4	5
2007	9.3	10.7	7.9	13.7	3.8
2008	11.5	12.1	9.1	13.4	1.7
2009	15.4	16.4	14	15	2.6
2010	14.2	14.1	14.2	14.9	6.9
2011	12.6	12.4	12.2	15.3	6.4
2012	12.3	12	11.4	15.1	6.6
2013	11.9	11.4	11.5	15.2	7.4
2014	11.8	11.4	11.4	15.6	8.2
2015	12.8	11.1	11.9	15.7	7.8
2016	13.2	11.2	12	14.6	7.8
2017	13	11.2	11.7	14.3	7.3

წყარო: ევროსტატი

როგორც დიაგრამიდან ჩანს, მშპ-თან მიმართებით ყველაზე მეტს ხორვატია ხარჯავს და მის მაჩვენებელს ორჯერ ჩამორჩება საქართველო. მაშინ, როცა საქართველო 2017 წელს სოციალურ დაცვაზე მშპ-ს 7,3 % ხარჯავდა, ხორვატიისთვის ეს მაჩვენებელი 14,3 %-ს უდრიდა. საქართველო დანარჩენი სამი ქვეყნის მაჩვენებლებსაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება.

დიაგრამა 3.3.3 სოციალურ დაცვაზე სახელმწიფო დანახარჯები მშპ-თან მიმართებით ევროკავშირის წევრ ქვეყნებში და საქართველოში



რაც შეეხება უშუალოდ სოციალური დაცვის დაფინანსების სტრუქტურას, 2017 წელს ევროკავშირში საშუალოდ ყველაზე მეტი , მშპ-ს 10.1 % პენსიებზე იყო მიმართული. ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანაშიც სოციალური დაცვის სექტორებიდან პენსიებს ეჭირა ყველაზე დიდი ადგილი და მაქსიმუმს მიაღწია საბერძნეთში და ფინეთში (მშპ-ს 13.8%), რომლებსაც ოდნევ ჩამორჩებოდნენ საფრანგეთი და იტალი (ორივე 13.4 %) და ავსტრია (12.5 %). კონტრასტული მდგომარეობაა ირლანდიაში (3.4 %), ლიტვაში (5.7 %) და კვიპროსში (6.0 %) შესაბამისად ყველაზე დაბალი წილით მშპ-თან.

დასკვნა

2006-2018 წლების პერიოდის შესწავლის შედეგად გამოჩნდა, რომ საქართველოში სოციალური სფეროების დაფინანსება სხვა სფეროებთან შედარებით ყველაზე პრიორიტეტულია და როგორც ნომინალურ გამოსახულებაში, ისე პროცენტულად ყველაზე მეტად იზრდება. აბსოლუტურ გამოსახულებაში ყველაზე მეტი სოციალურ დაცვაზე იხარჯება, ხოლო დაფინანსების ზრდის ტემპები ყველაზე მაღალი ჯანდაცვის სფეროში შეინიშნება.

განათლების მიმართულებით სახელმწიფო ყველაზე მეტ რესურსს ზოგად განათლებაში დებს, რომელსაც ამ მხრივ მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება უმაღლესი განათლების სექტორი, სადაც კერძო სექტორის წილი მთლიან დაფინანსებაში მნიშვნელოვნად მაღალია.

ჯანდაცვაში მთლიანი დანახარჯები ორ მილიარდს აჭარბებს, საიდანაც დაახლოებით 61 % შინამეურნეობების პირადი გადახდებია. მკვეთრად შეიცვალა ჯანდაცვის სტრუქტურა ბოლო წლებში, რაც არაკლასიფიცირებული საქმიანობას მიკუთვნებული ხარჯების მუხლიდან ამბულატორიულ მომსახურებაზე ფინანსების გადანაწილებამ გამოიწვია;

სოციალური დაცვის სფეროში ხარჯების უდიდესი ნაწილი სტაბილურად პენსიებზეა მიმართული და ნომინალურ გამოსახულებაში თანდათანობით იზრდება, რაც პენსიის და საპენსიო ასაკის მოსახლეობის რაოდენობის ზრდითაა განპირობებული. თუმცა, პენსიების ხვედრითი წილი სოციალურ დაცვაზე სახელმწიფო დანახარჯებში თანდათანობით შემცირდა, რაც საარსებო შემწეობებზე დანახარჯების გაზრდითაა დაბალანსებული.

ბოლო ათწლეულში ნაჩვენები მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს საქართველო სოციალური სფეროს დაფინანსებაში ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაბიძაშვილი ბ., „სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში“, მე-4 შვესებული და გადამუშავებული გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბ., 2011.
2. გელაშვილი ს., შონია ზ., ქინქლაძე რ., „სოციალური სტატისტიკა“ (ელექტრონული ვერსია). თბ., 2013.
3. გელიტაშვილი ნ. ევროკავშირთან თავსებადი სოციალური დაცვის მოდელი საქართველოში. დისერტაცია. ეკონომიკის დოქტორის კანდ., ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ., 2012
4. უროტაძე ჯ. საქართველოს საპენსიო პოლიტიკა და მსოფლიო გამოცდილება. დისერტაცია. ეკონომიკის დოქტორის კანდ., ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ., 2016
5. ზოგადი განათლების ვაუჩერული დაფინანსების ეფექტურობის კვლევა თანასწორობის კონტექსტში, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი, თბ., 2014
6. კუკავა მ. საბიუჯეტო გზამკვლევი, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა, თბ., 2016
7. ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი 2019-2022 წლებისთვის, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
8. მოქალაქის გზამკვლევი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2018
9. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი
10. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ორგანული კანონი
11. საქართველოს კანონი გრანტების შესახებ
12. Tan, Congyan; Dolidze, Mariam. Georgia - Public expenditure review : building a sustainable future (English). World Bank Group. Washington D.C. 2016
13. Social welfare protection:the EU, USA and China, 2013

ინტერნეტ-რესურსები

14. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდი ,www.mof.ge
15. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდი, www.moh.gov.ge
16. საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდი ,www.ssa.gov.ge
17. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდი, www.geostat.ge
18. ევროპის სტატისტიკის სამსახურის ვებ-გვერდი, www.ec.europa.eu

დანართი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის 2006-2018 წლების ხარჯების შესრულების მაჩვენებლები, მლნ. ლარებში

დასახელება	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	733.8	595.8	1363.1	1577.0	1800.6	1919.3	1965.5	1726.8	1776.1	2050.3	1780.9	1902.6	2250.4
თავდაცვა	720.1	1500.3	1548.4	867.7	671.2	715.5	712.0	630.3	639.6	654.2	722.4	691.6	724.3
საზოგადოებრივი წესრიგი და ეკონომიკური საქმიანობა	369.0	684.5	983.5	853.1	832.7	843.6	861.6	860.0	905.8	961.0	1010.8	1052.1	1173.5
გარემოს დაცვა	X	25.8	21.7	28.7	18.0	24.7	21.8	25.8	37.5	44.8	62.8	63	59.6
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	0.0	0.0	47.1	2.3	23.6	35.5	52.5	37.8	54.4	48.4	51.4	23.1	25.4
ჯანმრთელობის დაცვა	205.5	240.6	283.9	331.6	415.0	362.5	373.8	481.3	652.9	855.1	982.5	1066.3	1141.6
დასვენება, კულტურა, რელიგია	71.9	94.2	102.1	137.3	165.7	156.5	196.1	144.6	190.3	222.6	247.5	262.7	350.3
განათლება	348.4	384.0	420.5	459.6	504.1	564.9	652.5	682.6	739.7	833.9	1024.7	1172.5	1255.9
სოციალური დაცვა	622.7	777.6	1106.4	1249.6	1278.2	1447.9	1575.5	1816.8	2174.9	2217.6	2410.2	2545.4	2699.0
სულ ხარჯები	3542.5	5007.4	6448.2	6274.3	6486.7	6965.9	7369.8	7313.2	8177.9	8838.2	9404.2	10343.9	11455.9

საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის 2006-2018 წლების ხარჯების შესრულების მაჩვენებლები

დასახელება	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	680.8	544.0	1510.1	1744.6	910.6	900.7	939.0	925.0	990.8	1086.6	1173.3	1228.3	1290.9
თავდაცვა	722.2	1502.9	1552.0	871.7	675.8	720.6	717.9	636.6	646.5	660.9	729.2	697.9	730.8
საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	382.7	725.3	1010.6	882.6	865.7	880.5	909.4	907.3	955.1	1010.2	1010.9	1052.3	1173.9
ეკონომიკური საქმიანობა	474.8	974.3	847.7	1043.6	1100.7	1135.6	1543.2	1262.1	1330.5	1337.3	1546.8	2071.6	2318.9
გარემოს დაცვა	X	75.4	87.9	114.9	124.0	110.8	88.5	134.2	162.9	133.2	143.4	144.6	153.1
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	448.5	497.3	534.9	349.7	544.2	697.0	494.5	319.8	323.1	410.6	461.6	455.1	417.1
ჯანმრთელობის დაცვა	225.8	256.3	313.1	363.8	454.8	398.8	416.1	524.7	694.0	905.9	1046.0	1136.3	1218.0
დასვენება, კულტურა, რელიგია	139.1	177.2	202.1	239.5	312.2	409.6	395.6	329.2	392.6	573.4	468.7	469.7	561.1
განათლება	413.8	458.2	553.8	579.6	611.7	656.4	757.7	825.5	933.0	1074.0	1287.9	1457	1570.4
სოციალური დაცვა	690.1	640.2	323.0	459.8	1421.4	1551.8	1732.3	1999.2	2384.8	2467.3	2654.3	2761.8	2917.0
სულ ხარჯები	4177.8	5851.1	6935.2	6649.8	7021.1	7461.8	7994.2	7863.6	8813.3	9659.4	10522.1	11474.6	12351.2